# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 11 თებერვალი, 2012 წელი.

№28 (6905)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## კახა კალაძე: ეს გამხნევების და მადლობის ტაში იყო

2



## კლინიკა, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება!



4

„თოდუას“ ინსტიტუტში უკვე 640-ჭრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი მოგემსახურებათ

## კვირადღის საკითხავი

## კეთილი პური,



ანუ ერთი ეპითეტის გარშემო

6-7



## სვეტლანას თბილისური არდადეგები

## ზურაბ აბაშიძე: უმჯობესი იქნებოდა, ქალაქის მთავრობას დენის საფასური ოთახების ფართის მიხედვით განესაზღვრა!..

3

## რა გავლენას ახდენს ევროკრიზისი საქართველოზე?

## ოკეანის სტიქიის რაინდი

9



სხვა გაზეთიდან

# კახა კალაძე:
# ეს გამხნევების და მადლობის ტაში იყო

**საქართველოს ნაკრებში აღარ ითამაშებს ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი კახა კალაძე. თუ როგორ წავიდა ის ნაკრებიდან, ამაზე არაერთხელ ითქვა და დაიწერა.**
**„ლელოს“ კითხვებს პასუხობს კახა კალაძე...**

**— კალაძის ნაკრებიდან წასვლამ, თანაც ასეთი ფორმით, დიდი რეზონანსი გამოიწვია. მას შემდეგ გარკვეული დრო გავიდა, რაც ანალიზის უკეთეს საშუალებას იძლევა. ახლა როგორ ფიქრობ, ყველაფერი ეს სწორი გადაწყვეტილება იყო?**

— მოდით, ნუ ვიდავებთ იმაზე, ეს გადაწყვეტილება სწორი იყო თუ არა, რამდენი ადამიანიცაა — იმდენი აზრია. მთავარია, რომ ეს ჩემთვის იყო უმძიმესი გადაწყვეტილება, მან მთელი ჩემი ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

გულშემატკივრის პოზიცია ჩემთვის გასაგებია, რომ 33 წლის ასაკში, ნაკრების კაპიტანი, რომელიც სტაბილურად თამაშობს სერია ა-ში და ამ დროს ტოვებს ნაკრებს, მაგრამ ეს იყო ჩემი გადაწყვეტილება, რომელსაც თავისი მიზეზები ჰქონდა, ეს მიზეზები წლების მანძილზე თავს იყრიდა. ახლა არ ჩამოვთვლი, რამაც მიმიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე.



**— ეს უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, თუ სპორტული? ანუ ეს ერთგვარი პროტესტი იყო თუ უფრო ის გინდოდა, რომ ნაკრებში ადგილი ახალგაზრდებისთვის დაგეთმო?**

— მსოფლიოში ჩემზე დიდ ფეხბურთელებს გამოუთქვამთ პროტესტი და წასულან ნაკრებიდან. ყველაფერმა ერთად მოიყარა თავი, რაც თქვენ ზემოთ ჩამოთვალეთ და მივედით იმ დღემდე, როდესაც გაკეთდა ეს განცხადება.

**— დემეტრაძის ამბავზეც გკითხავ. თითქოს პრეტენზია გამოთქვი, ჩემს გარდა არავინ ხმას არ იღებსო, თუმცა, როგორც შევიტყვეთ, არსებობს წერილობით თხოვნა პრეზიდენტის სახელზე, რომელსაც ფეხბურთში მოსაქმე ბევრი ადამიანი აწერს ხელს...**

— არც ერთ ინტერვიუში არ მითქვამს, მარტო მე მოვაწერე ხელი და ჩემს გარდა არავინ იღებს ხმასო, ეს რაღაც ახალია. ან შესატყობი და გასაიდუმლოებული რა იყო, არსებობს ეგ მიმართვა პრეზიდენტისადმი, რომელსაც როგორც ფეხბურთში დასაქმებულმა ხალხმა, ისე სხვებმაც მოაწერეს ხელი...

თუმცა ბევრმა სახელოვანმა და წარმატებულმა სპორტსმენმა აარიდა თავი და ხელი არ მოაწერა ამ წერილს. ასევე იყო ორი ადამიანი, რომლებიც ჩემთან ერთად უნდა ყოფილიყვნენ ამავე საკითხზე პრესკონფერენციაზე, თუმცა ბოლო წამს გადაიფიქრეს და არ მოვიდნენ.

მე შეგნებულად არ ვასახელებ მათ ვინაობას და არც არავის განსჯას არ ვაპირებ.

**— კულუარებში ამბობენ, პრეზიდენტს არაოფიციალურადაც სთხოვეს დემეტრაძის გათავისუფლება, მაგრამ კალაძის ხისტმა პოზიციამ ამ საკითხზე, პრეზიდენტს გადააფიქრებინა დემეტრაძის გათავისუფლებაო...**

— და რას ამბობენ იმავე კულუარებში — ვინ სთხოვა პრეზიდენტსო? და რატომ არაოფიციალურად და რატომ ოფიციალურად არ სთხოვა ვინც იყოო? და კალაძის ხისტი პოზიცია, რაში მდგომარეობდა — დემეტრაძის საქმის ნორმალურად გამოძიებას რომ ითხოვს, იმაში? და პრეზიდენტს მოფიქრებული ჰქონდა და კალაძის პოზიციამ გადააფიქრებინაო, ხო?

სხვათა შორის, თუ კულუარულ საუბრებზე ჩამოვარდა სიტყვა, მეც დამიკავშირდა თავის დროზე შსს-ს მაღალჩინოსანი და დემეს გამოშვებას დამპირდა, თუ დემე აღიარებდა ქურდულ სამყაროსთან კავშირს, რაზეც დემეს მხრიდან კატეგორიული უარი მიიღეს და ვენაცვალე დემეს ადამიანობას, რომ არ აჰყვა ცდუნებას და ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. ის კაცი შევიდა ციხეში და კაცად დარჩა ბოლომდე.

ზემოთ ნახსენები თხოვნის წერილის შემდეგ მე არანაირი განცხადება არ გამიკეთებია, სანამ დემეს აბსურდული განაჩენი არ გამოუტანეს და აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩემთვის კრიმინალია ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა და ისიც, ვინც უდანაშაულო ადამიანს ციხეში სვამს, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე უნდა ვიღაცას.

**— ნაკრებიდან წასვლაზე განცხადება რომ გააკეთე, მას შემდეგ თემურ ქეცბაიასთან ხომ არ გქონია საუბარი ამ თემაზე? თუ ისაუბრეთ, იქნებ ამაზეც გვითხრა ორიოდ სიტყვით...**

— ქეცბაა ჩემთვის მარტო მწვრთნელი არაა, ის ჩემი ძალიან დიდი ხნის მეგობარია. ვსაუბრობთ ხოლმე, ყველა დღესასწაულს ვულოცავთ ერთმანეთს.

**— ნაკრების ფეხბურთელი აღარ ხარ და იქნებ ახლა გულახდილად და ზუსტად გვითხრა, რა ხდებოდა საქართველოს ნაკრებში? რა უშლიდა გუნდს ხელს უკეთესი შედეგის მიღწევაში?**

— ნაკრების კაპიტანი როდესაც ვიყავი, მაშინაც გულახდილად ვსაუბრობდი ამ თემებზე. არასოდეს არ დამიმალავს და არ მოვრიდებივარ იმას, თუ რა ხდებოდა ქართულ ფეხბურთსა თუ ნაკრებში. ძალიან კარგი შეკრული გუნდია, თუმცა ბოლო წლებში მწვრთნელთა ხშირმა ცვლამ დაღი დაასვა, ყველა თავის მოდელს გვთავაზობდა, ძნელია ერთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლა, ტრავმებიც ხელს გვიშლიდა, რომ მთელ რიგ მოთამაშეებს 100%-ით თუ არა, 70%-ით მაინც ეჩვენებინა თავისი თავი.

იყო კიდევ მთელი რიგი მიზეზებისა, ზოგი ცნობილია საზოგადოებისათვის, ზოგიც უცნობი. ან რა წარმატებებზე უნდა ვისაუბროთ, როდესაც ამდენი წლის მანძილზე ეროვნულ ნაკრებს საწვრთნელი ბაზა არ ჰქონდა და რაც გაკეთდა, ისიც ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებით.

ძალიან საინტერესოა, რა ხდება პრეზიდენტის მიერ საგურამოში ზარ-ზეიმით გახსნილ ბაზაზე, სადაც ეროვნულ ნაკრებს არასოდეს უვარჯიშია.

**— ზოგადად ქართულ ფეხბურთში არსებულ ვითარებაზე რას იტყოდი? რა არის ნეგატიური და რა არის პოზიტიური?**

— სიტუაცია არის უმძიმესი, კლუბები არიან დოტაციაზე, სახელმწიფოს კი არ სურს ფეხბურთის განვითარებაში თანხები ჩადოს, რეგიონი ერთ გუნდს ვერ ინახავს. ზოგიერთ რეგიონს შეიძლება საშუალება აქვს კიდეც, მაგრამ მათ ხელმძღვანელებს სურვილი არა აქვთ.

საფეხბურთო მინდვრების მდგომარეობა კატასტროფულია, რამდენიმე ქალაქში გაკეთებული სტადიონით პრობლემა არ მოგვარდება. საშინლად მძიმე სიტუაციაა ბავშვთა ფეხბურთშიც.

იხ. 5 გვ.

პოზიცია

**საქართველოს კულტურის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს, რომელიც საქართველოსა და თურქეთში კულტურული და რელიგიური ძეგლების აღდგენა-მშენებლობას ეხება. „ინტერპრესნიუსი“ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:**

— როგორც ცნობილია, ქართული ხუროთმოძღვრების რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ძეგლი თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მათ შორის, ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ნამდვილი გვირგვინი ოშკი, ასევე იშხნის ტაძარი, ინგრევა და უკვე განადგურების პირას არის მისული.

> **საქართველოს კულტურის სამინისტრო განცხადებას ავრცელებს**

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, გამოდის რა მოსაზრებიდან, რომ ამ ძეგლების საბოლოო განადგურება ნამდვილი კატასტროფა იქნებოდა ქართველი ერისათვის, უკვე რამდენიმე წელია აწარმოებს მოლაპარაკებას თურქულ მხარესთან ქართული კულტურის საგანძურის გადარჩენის და მომავალი თაობებისათვის პირვანდელი სახით გადაცემის კუთხით.

ამ მოლაპარაკებების დროს თურქულმა მხარემ დააყენა საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ისლამური კულტურის ძეგლების აღდგენისა და მოვლის თაობაზე. კერძოდ, ოშკსა და იშხანში განხორციელებული სამუშაოების კვალდაკვალ თურქული მხარე აყენებს საკითხს ახალციხის არსებული მეჩეთის მოვლისა და ბათუმში აზიზიეს მეჩეთის აღდგენის თაობაზე.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხეში მეჩეთი უკვე არსებობს მეჩვიდმეტე საუკუნიდან, ახალციხის ისტორიული ციხის ტერიტორიაზე. ამჟამად ხორციელდება არა მეჩეთის მშენებლობა, როგორც მცდარად ვრცელდება ცნობები ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებების მიერ, არამედ ციხის ტერიტორიაზე ჯაყელების ისტორიული სასახლის და ქართული ქრისტიანული ტაძრის ახალი მშენებლობა. ეს ძეგლები რუსული ჯარის მიერ იქნა განადგურებული და ციხის მთლიანი კომპლექსის აღდგენა ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტია ბოლო წლებში განხორციელებულ, საქართველოს ისტორიული ძეგლების აღდგენის სფეროში. პროექტი ემსახურება საქართველოს ამ ისტორიული ქალაქის საერთაშორისო მნიშვნელობის ტურისტულ ცენტრად ქცევას და შედეგად ხალხის დასაქმებასა და კეთილდღეობის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი ადგილობრივ საზოგადოებაში დიდი მხარდაჭერით სარგებლობს და მოსახლეობა მის განხორციელებას დიდ იმედებს უკავშირებს.

აზიზიეს მეჩეთი, რომელიც დღეისთვის სრულად განადგურებულია და მუსლიმი ქართველებისათვის მნიშვნელოვან კულტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს, აღდგენილი იქნება ისტორიული მასალების მიხედვით და მისი რეკონსტრუქციის ადგილის განსაზღვრა საქართველოს მხარის პრეროგატივას წარმოადგენს.

მთავრობებს შორის შეთანხმება გულისხმობს აღდგენილი ძეგლების ფუნქციონირებას კულტურულ ცენტრებად.

აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს საპატრიარქო, ისევე როგორც ზოგადად კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობით დაინტერესებული საზოგადოება, მუდმივად საქმის კურსში იყო მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ. უკანასკნელი შეხვედრა ამ თემაზე კულტურის მინისტრმა საპატრიარქოში ამ ორიოდე დღის წინათ გამართა, ვინაიდან საკითხი ეხება ეროვნულ საქმეს, ჩვენი ძეგლების გადარჩენას და შესაბამისად, საპატრიარქოს აზრი ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

მომავალშიც — სამინისტრო მზად არის ყველა დაინტერესებულ მხარეს სრული ინფორმაცია მიაწოდოს, — აღნიშნულია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქომ განცხადება გუშინ გააკეთა.

ინფორმაცია

## საგადასახადო საიდუმლოებაზე ხელი მიუწვდებათ

**კანონპროექტის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს საშუალება ეძლევათ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით საგადასახადო ინფორმაცია გამოითხოვონ და შესაბამისად მიიღონ კიდეც.**

**მოქმედი კანონმდებლობით, საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა გადასახადის გადამხდელის სტატუსისა, სახელწოდებისა, მისამართისა, საიდენტიფიკაციო ნომრისა და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირებული საჯარო ინფორმაციისა, საგადასახადო აღრიცხვაზე მისი აყვანის მომენტიდან საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება.**

**საგადასახადო ორგანო, მისი თანამშრომელი, მიწვეული სპეციალისტი ან/და ექსპერტი ვალდებულია დაიცვას გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მისთვის ცნობილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გახდა.**

შეხვედრა

# მოგელაძემ არასამთავრობოებს თითი დაუქნია, - „გონივრული“ კითხვა ისწავლეთო!

**გუშინ სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ საქართველოს კონტროლის პალატა შეხვდა არასამთავრობო ორგანიზაციებს. შეხვედრის მიზანი პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის გაცნობა იყო.**

როგორც ცნობილია, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საქართველოს კონტროლის პალატას გაეზარდა უფლებამოსილება. ამ თემაზე ატეხილ აჟიოტაჟს გამოეხმაურა კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნათია მოგელაძე, მან მოუწოდა არასამთავრობო ორგანიზაციებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“ მიღებული კანონი „გონივრულად“ წაიკითხონ.

— ის უსაგნო აჟიოტაჟი, რომელიც არასამთავრობოებმა ატეხეს, თითქოსდა კანონი ზღუდავს სამეწარმეო საქმიანობას, სამოქალაქო სექტორს ან გამოხატვის თავისუფლებას, მცდარი და აბსურდულია! შეხვედრის მთავარი მიზანია არგუმენტირებულად განვუმარტოთ არასამთავრობო სექტორს, რომ კანონი ამგვარად არ იკითხება. მხოლოდ გონივრული წაკითხვის შემთხვევაშია შესაძლებელი მისი სწორად გაგება, — განაცხადა ნათია მოგელაძემ.

კონტროლის პალატამ 16 არასამთავრობო ორგანიზაციას გაუგზავნა მოწვევა. შეხვედრას მხოლოდ რამდენიმე მათგანი ესწრებოდა.

„ახალი თაობა — ახალი ინიციატივის“ წარმომადგენლის მიხეილ დევდარიანის თქმით, ისინი პირველები იყვნენ, ვინც კონტროლის პალატას ფინანსური ანგარიში წარუდგინა, მაგრამ... კარგი იქნება, თუ კონტროლის პალატა, უფრო გასაგებად განმარტავს თავის მოთხოვნებს, თუ რის საფუძველზე ინტერესდება, არასამთავრობო სექტორებით! შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე ლევან ბეჟაშვილი, მისი განცხადებით, არასამთავრობო სექტორთან შეხვედრები ემსახურება იმას, რომ მოხდეს შეთანხმება იმ ძირითად პრინციპებზე, რომლითაც შემდგომში ურთიერთობის დარეგულირება იქნება შესაძლებელი.

კონტროლის პალატისთვის მნიშვნელოვანია, არასამთავრობოებთან პარტნიორობა, რათა გამოირიცხოს რაიმე სახის ფინანსური კავშირი პოლიტიკურ პარტიებთან, — განმარტა ლევან ბეჟაშვილმა...

ცოტა ხნის შემდეგ შეხვედრა დახურულ რეჟიმში გაგრძელდა...

**გულნაზ გახარია,**
**ლია გრიგოლია.**

რა ცუდად ვცხოვრობთ!

# ზურაბ აბაშიძე: უმჯობესი იქნებოდა, ქალაქის მთავრობას დენის საფასური ოთახების ფართის მიხედვით განესაზღვრა!..



**„თავისუფალმა დემოკრატებმა“ თბილისის მერიაში განცხადება შეიტანეს, რომლითაც ქალაქის მერს მოსთხოვეს, ზამთრის პერიოდში მაინც შეაჩეროს დენის საფასურზე მიბმული დასუფთავების ტარიფის მიბმა. ამის თაობაზე „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გიგი უგულავას ჯერ კიდევ გუშინ მიმართა. მისი თქმით, ზამთრის პერიოდში შეჭირვებული მოსახლეობა დენით თბება, რისი საფასურის გადახდაც, ამ ტარიფზე დასუფთავების საფასურის მიმატების შემდეგ, მათთვის შეუძლებელია.**

**„თავისუფალი დემოკრატების“ წევრი, საკრებულოს დეპუტატი ზურაბ აბაშიძე აცხადებს, რომ უმჯობესი იქნებოდა, ქალაქის მთავრობას დენის საფასური ოთახების ფართის მიხედვით განესაზღვრა, რადგან ამით გაჭირვებულ მოსახლეობას ნაკლები გადასახადის გადახდა მოუწევდა. Presage.tv ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.**

**— „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ქალაქის მერის სახელზე წერილი დაწერეთ. კონკრეტულად რას მოითხოვთ?**

— საკრებულოს წევრებმა — ვიქტორ დოლიძემ და მე ერთობლივი წერილი გავამზადეთ, სადაც მივმართავთ ქალაქის მერს, იქნებ, პირველ რიგში, რაღაც ეტაპზე, გადაიხედოს დენის ტარიფზე დასუფთავების საფასურის მიბმის გადაწყვეტილება, რადგან კარგა ხანია ძალიან ცივა ქალაქში და ჩვენი მოქალაქეები უფრო მეტ ელექტროენერგიას მოიხმარენ, ვიდრე ჩვეულებრივ დღეებში. ჩვენს მოქალაქეებს მოსდით ძალიან დიდი გადასახადები, რაც აუცილებლად უნდა შეიცვალოს. ამიტომ, ამ ეტაპზე შეჩერდეს ეს გადაწყვეტილება. ვითხოვთ, გაითვალისწინონ ჩვენი გეგმა, რომელიც გარკვეული დროის წინ გიგი უგულავასთვის წარვადგინეთ.

იქნებ, ეს გადასახადი მიბმული იყოს ოთახების ფართზე. ეს ბევრად სამართლიანი იქნება. რაც უფრო მეტი ფართი აქვს მოქალაქეს, მეტს გადაიხდის. რაც უფრო ნაკლები აქვს - ნაკლებს. აქედან გამომდინარე, სოციალური თანასწორობის პრინციპია. ვინც მდიდარია, და ბუნებრივია, დიდი სახლი აქვს, მეტის გადახდა მოუწევს, ვინც ღარიბია, ნაკლებ ფართში ცხოვრობს, დღეს ეს პრინციპი დარღვეულია. ამიტომ შეჩერდეს ეს უკანონო, უსამართლო პრინციპი, რომელიც არსებობს და შემდგომ, დიალოგის შედეგად მივიღოთ ერობლივი გადაწყვეტილება.

**— გაქვთ იმედი, რომ მერია დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას?**

— არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გამოვდივართ მოქალაქეების ინტერესებიდან. უგულავას თუ აწუხებს თბილისელების ბედი და მათი მდგომარეობა, ეს საქმე უნდა გამოვიდეს. თუ არადა, გამოჩნდება, რომ არ აინტერესებს და ეს იქნება ამის დამადასტურებელი.

**— წინასაარჩევნოდ ხელისუფლებას ასეთი არაპოპულარული გადაწყვეტილებები არ უნდა აწყობდეს. თქვენი აზრით, თანხები ძალიან შემოაკლდათ, რომ დენის საფასურის დასუფთავების საფასურზე მიბმა დაიწყეს?**

— რა თქმა უნდა, ძალიან დააკლდათ თანხები. ამიტომაც მიმდინარეობს მოქალაქეთა ძარცვა, ჩვენ ასე დავარქვით ჩვენი მოქალაქეებისგან თანხების ამოღებას. შემდგომ ეს მიიმართება ხელისუფლების საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად.

**— ქალაქის მთავრობისგან პასუხს დაახლოებით როდისთვის ელოდებით?**

— პასუხს ყოველდღიურად ველოდებით. არიან მედიის წარმომადგენლებიც და მათი საშუალებით გავიგებთ პასუხს.

**— საშუალოდ როგორ აისახება ეს მომატებული ტარიფები ჩვენს მოქალაქეებზე, განსაკუთრებით, ზამთრის განმავლობაში?**

— ახლა ტარიფებზე არაა საუბარი, მთავარია, რომ შეჩერდეს ეს გადაწყვეტილება. ამ ცივ დღეებში, ეს ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია.

**— ხომ არ აჯობებდა, დენის ტარიფზე დასუფთავების საფასურის მიბმის გაუქმება მთლიანობაში მოგეთხოვათ, თუ ასეთი შესწორებით დაკმაყოფილდებით?**

— მთლიანად გაუქმება გულისხმობს იმას, რომ ამ ეტაპზე მაინც შეჩერდეს, რადგან გაუქმებას ჩვენ დიდი ხანია ვითხოვთ. ზამთრის პერიოდში მაინც შეჩერდეს, და შემდეგ დავუბრუნდეთ ახალ სისტემას, რომელიც დროსაც მოიცავს.

**მარიამ ლოლაშვილი**

ეკონომიკა

# თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში საწარმოებს შეზღუდვები მოეხსნებათ

**მთავრობა, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოებისთვის დადგენილ შეზღუდვებს ხსნის და ნებადართული საქმიანობის ფარგლებში დაბეგვრის რეჟიმს ცვლის.**

ამასთან დაკავშირებით, ცვლილებები „საგადასახადო კოდექსში“ და „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“ კანონში შედის, რომელიც მთავრობის მიერ პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

აღსანიშნავია, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოების დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებას ითვალისწინებს. კერძოდ, საერთაშორისო საწარმოს დეფინიცია აღარ იარსებებს და საგადასახადო შეღავათებით ინდუსტრიულ ზონაში დარეგისტრირებული ყველა საწარმო ისარგებლებს.

ასევე, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა, **თიზ**-ის საწარმოსიძ საქონლის მიწოდება და მათგან საქონლის მიღება საქონლის მიწოდებით მიღებული შემოსავლის 5%-იანი განაკვეთით დაიბეგრება.

ამასთან, თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს (ნაცვლად სტატუსის გაუქმებისაძ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა, **თიზ**-ის საწარმოსიძ მომსახურების გაწევა აეკრძალება. ასევე აეკრძალება მათგან მომსახურების მიღება, გარდა არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული მომსახურებებისა, რომელთა მიღებაც საერთაშორისო საწარმოს სტატუსის გაუქმებას არ იწვევს.

ამ ცვლილებების გარდა, აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში შესატანი აკრძალული საქონლის ნუსხა მცირდება.

კანონის დღეს მოქმედი ნორმით, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში აკრძალულია: იარაღის, საბრძოლო მასალის წარმოება, იარაღით, საბრძოლო მასალით ვაჭრობა; ბირთვული, რადიოაქტიური ნივთიერებების წარმოება, ბირთვული, რადიოაქტიური ნივთიერებებით ვაჭრობა; ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, შენახვა, წარმოება და რეალიზაცია და ასევე აქციზური საქონლის შეტანა, შენახვა, წარმოება და რეალიზაცია.

უნდა ითქვას, რომ მოქმედი კანონმდებლობით, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში აქციზური საქონლის შეტანა მხოლოდ ადგილზე მოხმარებისათვის არის შესაძლებელი და ეს როგორც საქონლის ექსპორტი, არ განიხილება. ხოლო, პროექტით, ცვლილებები სწორედ აქციზიურ საქონელს ეხება და მისი მიღების შემდეგ, ნაცვლად დღეს არსებული აკრძალვისა, რომლის მიხედვითაც, ზონაში ყველა სახის აქციზური საქონლის შეტანა იკრძალება,



აკრძალვა მხოლოდ თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს ნედლეულის, ალკოჰოლიანი სასმელებისა და ასევე შავი და ფერადი ლითონების ჯართის შეტანას შეეხება.

მთავრობის განმარტებით, კანონპროექტის შემუშავების მიზეზი, ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით, თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, საქმიანობის განმახორციელებელი საწარმოებისთვის დადგენილი შეზღუდვების მოხსნაა.

რაც შეეხება იმას, კანონპროექტის მიღება თუ რა შედეგს მოიტანს, მთავრობა ვარაუდობს, რომ შესაძლოა, პროექტმა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა გამოიწვიოს, თუმცა, რა ოდენობით მოხდება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდა, ამის პროგნოზს მთავრობა არ აკეთებს და განმარტავს, რომ აღნიშნული დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წარიმართება ახალი საწარმოების გახსნა და მათი წარმატებული ფუნქციონირება. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს პროექტი წარმატებით შესრულდება, მაშინ, ქვეყანაში დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება, რითაც შემოსავალი გაჩნდება, რაც ბიუჯეტის შემოსავლებს გაზრდის.

**თეონა მანაგაძე**

საბანკო სისტემა

# რა გავლენას ახდენს ევროკრიზისი საქართველოზე?

**ევროპის კავშირი საერთო ვალუტის და ზოგიერთი წევრი ქვეყნის ეკონომიკური პრობლემებით გამოწვეული კრიზისიდან თავის დაღწევის გზებს ეძებს. ვარაუდობენ, რომ შექმნილი ვითარება გავლენას ახდენს არამარტო კავშირის წევრ სახელმწიფოებზე. საქართველოს სავაჭრო პარტნიორებს შორის ევროკავშირს ლიდერის პოზიცია უკავია, ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიციები, რომლებიც საქართველოში ევროპის ქვეყნებიდან ხორციელდება.**

გასული წლის მანძილზე ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია საქართველოს ეკონომიკაზე. უფრო მეტიც, ეკონომიკური ზრდა იმაზე მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. მიუხედავად ამ ტენდენციისა, ეკონომისტები მაინც სიფრთხილეს იჩენენ პროგნოზების გაკეთებისას, მით უმეტეს, რომ მიმდინარე წელი საქართველოში საარჩევნო წელია, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის დამატებითი გამოწვევაცაა.

პროგნოზების გაუმჯობესება პირდაპირ უკავშირდება ფულის სიიაფეს, საბანკო სექტორის განვითარებას, ქვეყნის იმიჯს და სანდოობას...

რაც შეეხება ევროკრიზისს, მან შეიძლება საქართველოში ყველაზე მეტად საფინანსო სექტორზე იმოქმედოს, რადგან შემცირდება ფულადი გზავნილების მოცულობა, ძვირდება ევროპული საბანკო რესურსები და იკლებს საინვესტიციო აქტივობაც. არადა, 2011 წლის მიწურულს მთავრობა იმედოვნებდა, რომ საერთაშორისო სუვერენული რეიტინგის გაუმჯობესება საბანკო რესურსების გაიაფებას გამოიწვევდა. ასეთი პროგნოზი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი გვინდაძემაც გამოთქვა:

**„ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფოსთვის, რა თქმა უნდა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, კერძო სექტორისთვის, იმიტომ რომ პროგნოზების გაუმჯობესება პირდაპირ უკავშირდება ფულის სიიაფეს, პირდაპირ უკავშირდება საბანკო სექტორის განვითარებას, პირდაპირ უკავშირდება ქვეყნის იმიჯს და სანდოობას“.**

თუმცა ვარაუდობენ, რომ რეიტინგების გაუმჯობესებით მოსალოდნელი სარგებელი შეიძლება ევროკრიზისის უარყოფითმა შედეგებმა გადაწონოს.

ევროს ზონაში მიმდინარე პროცესების გამო საქართველოში საბანკო მომსახურებისა და კრედიტების გაძვირების ვარაუდი გამოთქვა რადიო თავისუფლების სადისკუსიო გადაცემაში ეკონომიკის ექსპერტმა შოთა მურღულიამ:

**„ჩვენი ბანკები ნაწილობრივ რესურსს იღებენ ევროპიდან და, შესაბამისად, თუ ევროპაში კრიზისია და ბანკებს რესურსი უძვირდებათ, რა თქმა უნდა, ეს პირდაპირ აისახება საქართველოს ეკონომიკაზე“.**

უკავშირდება თუ არა ევროკრიზისს, ძნელი სათქმელია, თუმცა 2011 წლის ბოლო კვარტალში საქართველოს საბანკო სექტორმა ბიზნესის დაკრედიტების მოცულობა შეამცირა. ექსპერტების ნაწილის აზრით, ბანკებმა საპროცენტო განაკვეთი ჯერ კიდევ გასული წლის მეორე ნახევარში გაზარდეს, რასაც კატეგორიულად უარყოფს ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი ზურაბ გვასალია. მაგრამ ის არც საკრედიტო რესურსების მნიშვნელოვან გაიაფებას მოელის, როგორც ამას მთავრობა ვარაუდობდა:

**„რესურსების გაიაფება საიდან უნდა მოხდეს? ეს ხომ მოზიდული სახსრები არის... რომ გითხრათ,ეს გლობალურად გავლენას მოახდენს საქართველოზე, მიჭირს ამის დაჯერება, ვინაიდან ჩვენ არ ვართ მჭიდროდ ინტეგრირებულები. მაგრამ გაგვიძვირდება საკრედიტო რესურსები, რომლებიც გარედან შემოდის დონორების მხრიდან“.**

ევროკრიზისის შედეგად საბანკო რესურსებისა და ევროპული ინვესტიციების შემცირების შესაძლებლობას ვარაუდობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაურიც, მაგრამ იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ამ კრიზისმა შეიძლება საქართველოს ეკონომიკაზე დადებითი გავლენაც მოახდინოს:

**„ერთდროულად ეს არის საშიშროებაც და შანსიც, რომ, პირიქით, მეტი თანხაც მოვიზიდოთ“...**

პრემიერ-მინისტრის ნიკა გილაურის ვარაუდი უფრო მეტად წლის მეორე ნახევარს შეეხება. ჯერჯერობით კი საერთაშორისო სავალუტო ფონდი ფრთხილ პროგნოზებს აკეთებს და ვარაუდობს, რომ საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შარშანდელზე დაბალი იქნება.

**კახა მჭედლიძე,**
**რადიო „თავისუფლება“**



*— THU თოვდა, ქარი ქროდა, ციოდა და ქვეყანა ინგრეოდა, შენ რა გახარებდა, შე უპატრონოო... — გეხსომებათ, როგორ დაუწუნეს პოეტური გონის ნაჟური ზურიკელას.*

*...ყინვაც იყო, სიცივეც, უშუქობაც, ძმათამკვლელ ომში გაზრდილი სამოქალაქო აუტანლობა-დაპირისპირებაც და ქვეყნის ნგრევაც, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, მაგრამ ამასთანავე იყო საოცარი მიზანდასახულობაც, მუხლჩაუხრელი, მაძიებლური შრომაც და, ამის წალობით, ამ საყოველთაო ნგრევა-პარტახის ფონზე, დაუმთავრებელ შენობაში ახალი კლინიკის შენებით გამოწვეულ-მოგვრილი სიხარულის განცდაც.*

*რადიოლოგიის ინსტიტუტს, რომელიც იქ შენდებოდა, ოთხმოცდაათიან წლებში ხალხი უფრო ფრიდონ თოდუას სადიაგნოსტიკო ცენტრად იცნობდა, რადგან მაშინ იქ აქცენტი ძირითადად დიაგნოსტიკაზე კეთდებოდა. შემდგომ კი თანდათან შეიძინეს თანამედროვე აპარატურა, კომპიუტერული ტომოგრაფები. შესაბამისად ფართოვდებოდა ინსტიტუტის პროფილი, რის წყალობითაც დღეს იქ მარტო დიაგნოსტიკური გამოკვლევები კი არა, ურთულესი სამკურნალო პროცედურებიც ტარდება: კეთდება მუცლისა და გულ-მკერდის ღრუების, ანუ თორაკო-აბდომინალური ქირურგიის, ნეიროქირურგიის, გინეკოლოგიის, უროლოგიის მიმართულების ოპერაციები...*

*ასეთია დღეს უმაღლეს დონეზე აშენებული, უთანამედროვესი აპარატურით აღჭურვილი და საუცხოო კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტებული კლინიკური დიაგნოსტიკის სამედიცინო ინსტიტუტი, რომელსაც ხალხი, უბრალოდ, თოდუას ინსტიტუტს ეძახის.*



# კლინიკა, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება!

დღეს, როდესაც აქაურობას და აქაურთა საქმიანობას აკვირდები, ზოგიერთმა შეიძლება ყველაფერი ისე აღიქვას როგორც ჩვეულებრივი მოვლენა, თითქოს ასეც უნდა იყოსო, მაგრამ რაოდენ მძიმე მდგომარეობა და ყოვლად არაპროგნოზირებადი მომავალი, ბევრს რომ ვერაფერს სასიკეთოს აჩენდა, იყო მაშინ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც ბატონი ფრიდონი თავის 21 თანამოაზრესთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში მოსკოვიდან, სადაც მუშაობის საუკეთესო პირობები, სახელი, ავტორიტეტი და დიდებული პერსპექტივაც ჰქონდა.

მათგან ფრიდონ თოდუაღა დარჩა დამოუკიდებლობაგამოცხადებულ საქართველოში (დანარჩენები უკან დაბრუნდნენ და დღეს იქაური საუკეთესო კლინიკების ხელმძღვანელები თუ წამყვანი სპეციალისტები არიანძ, არ უღალატა არჩევანს და მიაღწია კიდეც სასურველს.

**„ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს სამშობლოში ვცხოვრობ და ჩემი შვილიშვილები აქ იზრდებიან.**

**გავუფრთხილდეთ ადამიანებს, საქართველოს ინტელექტს, რომლითაც ჩვენი ქვეყანა ყოველთვის გამოირჩეოდა.**

**სამშობლო ერთი გვაქვს და მოვუაროთ!“**

ამ სიტყვებით დაამთავრა ბატონმა ფრიდონმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტისთვის მიცემული ინტერვიუ, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ შარშანდელი 18 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა.

სწორედ მაშინ აღნიშნა მან, რომ მალე ინსტიტუტში დაიწყებოდა 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფის დამონტაჟება, რაც დღესდღეობით სამედიცინო ტექნიკაში ბოლო სიტყვაა.

და აი, „ტოშიბას“ მარკის ეს დიდებული იაპონური აპარატი — Ag uillion one 640-slice (4d) GT Scanner — გუშინ, როგორც იტყვიან „საქმეში ვნახეთ“ კიდეც ინსტიტუტში მიწვეულმა ჟურნალისტებმა. იქ იყვნენ, აგრეთვე, იაპონიის ელჩი საქართველოში, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი ვაჟა თოიძე, სხვა ოფიციალური პირები, „თიბისი“ ბანკის ხელმძღვანელები...

საკუთარ თავსა და ინსტიტუტზე საუბრისას ფრიდონ თოდუა განსაკუთრებით სიტყვაუხვი და ენაწყლიანიაო, ვერ იტყვის კაცი, — უფრო საქმეს

**„თოდუას“ ინსტიტუტში უკვე 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი მოგემსახურებათ**



„ალაპარაკებს“, რომლის კონკრეტული შედეგების სიკეთე უთვალავ ადამიანს უგრძვნია, მაგრამ მაინც ვცდილობ, სტუმრების მოსვლამდე მოვასწრო მისგან რამდენიმე მთავარი მომენტის ჩაწერა.

**— გაჭირვებიდან, უშუქობიდან, იმ დროიდან, როცა ყველაფერი გაკლდათ და თითქმის არაფერი არ გქონდათ, აქამდე მოხვედით. როგორ შეაფასებდით გავლილ გზას და დღევანდელობას?**

— გადაჭარბებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ დღეს ჩვენი კლინიკა თავისი უმაღლესი კვალიფიკაციის ექიმებით, სპეციალისტებით, უთანამედროვესი ტექნიკით აღჭურვილი ლაბორატორიებით ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში. აშენდა ორი ახალი თანამედროვე კორპუსი, მოქმედებს სამი მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფი, რომელთაგან ერთი სამი ტესლა სიმძლავრისაა, შარშან დამონტაჟდა 128-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფი, ახლა კი, როგორც ნახეთ, პაციენტებს ემსახურება 640-შრიანი, შეიძლება ითქვას, ფანტასტიკური კომპიუტერული ტომოგრაფი, რაც მარტო ჩვენი ინსტიტუტისთვის კი არა, ქართული მედიცინისა და მთლიანად საქართველოსთვისაც დიდი წარმატებაა.

**— ბატონო ფრიდონ, 1994 წლის შემდეგ თქვენს ინსტიტუტს ბიუჯეტიდან არანაირი დაფინანსება არ მიუღია. ჰოდა, როგორ და რა გზით მოახერხეთ ამდენი რამისთვის საჭირო თანხების მოზიდვა?**

— მხოლოდ და მხოლოდ რეინვესტირებით, საკუთარი შემოსავლებით დავაფინანსეთ ყველა მშენებლობა თუ შენაძენი. რაც შეეხება უშუალოდ ამ კომპიუტერულ ტომოგრაფს, იგი „თიბისი“ ბანკის სესხით ვიყიდეთ, რისთვისაც დიდი მადლობელი ვართ ბატონი მამუკა ხაზარაძისა: ამ ბანკმა მეტად დაბალი პროცენტით და ხუთი წლის ვადით გვასესხა მისი შესაძენი თანხა ლარებში.

თვითრეკლამირებაში ნურვინ ჩამითვლის, მაგრამ, მერწმუნეთ, რომ სადღეისოდ არამცთუ ყოფილი საბჭოეთის, არამედ ევროპის რომელიმე ქვეყნის ან თუნდაც ამერიკის ერთ რომელსამე კლინიკას არა აქვს ერთდროულად ამდენი თანამედროვე დანადგარი.

**— არა მგონია, საქმეში ოდნავ მაინც ჩახედულმა ადამიანმა ეს თვითრეკლამაში ჩაგითვალოთ. უფრო მეტიც, მე თუ მკითხავთ, კლინიკური დიაგნოსტიკის სამეცნიერო ინსტიტუტს — ფრიდონ თოდუას კლინიკას — „როლს-როისისა“ არ იყოს, რეკლამა არ სჭირდება, იგი, დღევანდელი ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, უამისოდაც უცნობილესი ბრენდია.**

— დიდი მადლობა ასეთი შეფასებისთვის, მაგრამ ვფიქრობ, რომ მიღწეული მიჯნა არ არის და არც ფუფუნებაა, რადგან ეს ხალხს, ჩვენს პაციენტებს სჭირდებათ...

ამასობაში სტუმრებიც გამოჩნდნენ და მეც კომპიუტერული ტომოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის დოქტორს, ეროვნული პრემიის ლაურეატს **გიორგი წივწივაძეს** ვთხოვე ორიოდე სიტყვის თქმა განყოფილების მუშაობასა და ახალ აპარატზე.

ბატონი გიორგიც მაცნობს განყოფილების გამოცდილ ახალგაზრდა თანამშრომლებს, მედიცინის დოქტორებს **ლია გზირიშვილს, დავით მიმინოშვილს, რუსუდან ხარაძეს, გიორგი მაჭახიძეს...**

ახლახან დამონტაჟებული 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფის უპირატესობის დასადასტურებლად კი ასეთ შედარებებს აკეთებს: **თუ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც საქართველოში პირველად დაინერგა კომპიუტერული ტომოგრამა, პაციენტის გამოკვლევას დაახლოებით 30 წუთი სჭირდებოდა, ახლა ამ პროცედურას, აღნიშნული აპარატის წყალობით, ხუთიოდე წუთი სჭირდება. თანაც პროცედურისთვის პაციენტის მომზადებიანად, თორემ უშუალოდ გამოკვლევისთვის მხოლოდ 0,33 წამია საჭირო, რის გამოც ფაქტობრივად არანაირ დასხივებაზე არ შეიძლება საუბარი.**

თანაც „ტოშიბას“ ეს აპარატი გვაწვდის არა მარტო სამგანზომილებიან გამოსახულებას, არამედ ოთხგანზომილებიან ინფორმაციასაც, რისი მეშვეობითაც სპეციალისტი რეალურ დროში აღიქვამს ორგანიზმის მოძრავ სტრუქტურებს, მაგალითად, გულს, რაც აქამდე კომპიუტერული ტომოგრაფიისთვის წარმოუდგენელი იყო...

ამასობაში გულის კორონაროგრაფიისთვის პაციენტი ქალბატონი შემოიყვანეს, რომელიც მართლაც ხუთიოდ წუთში უკვე თავისუფალი იყო. ამის შემყურე, მე, ვისაც ამ ექვსი წლის წინათ ერთ კარგ კლინიკაში თავად ჩამიტარეს ანალოგიური პროცედურა, დავრწმუნდი 640-შრიანი კომპიუტერული ტომოგრაფის მართლაც ფანტასტიკურ უპირატესობაში.

და მარტო იმიტომ კი არა, რომ ახლა ყველაფერი არაინვაზიურად და ხუთიოდ წუთში მთავრდება, არამედ იმიტომ, რომ იგი აბსოლუტურად უსაფრთხო და უმტკივნეულოა.

— რაო, ქალბატონო ლიანა, მეუღლის ხატების გარდა გულში ვერაფერი ვერ აღმოგიჩინეს ხომ? — ეხუმრება ტომოგრაფის ოთახიდან გამოსულ გამოკვლევაჩატარებულ მეგობრის ცოლს ჩემი უფროსი კოლეგა და მეგობარი, თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი არმაზ სანებლიძე...

**— ბატონო ფრიდონ, უახლესი წარმოების აპარატურის დანერგვა კარგიც არის და აუცილებელიც, მაგრამ ხომ არ აძვირებს იგი მომსახურების საფასურს?**

— არავითარ შემთხვევაში. იმის მიუხედავად, რომ კომპიუტერული ტომოგრაფი რამდენიმე მილიონი ევრო ღირს, მისი გამოყენების გამო პაციენტისთვის საზღაური არ გაგვიზრდია, იგივე დავტოვეთ. ფასების დადგენისას ჩვენი ხალხის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობას ვითვალისწინებთ და ვცდილობთ, პაციენტს მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მომსახურება რაც შეიძლება მინიმალურ ფასად შევთავაზოთ. თანაც ყოველწლიურად ორი ათასზე მეტ ეკონომიკურად შეჭირვებულ ავადმყოფს უფასოდ ვუტარებთ გამოკვლევებს. ამის გამოც არის, რომ ჩვენს კლინიკას ყველაზე მეტი პაციენტი ჰყავს...

**კარგია, როდესაც ქვეყანაში ასეთი დონის სადიაგნოსტიკო-სამკურნალო კლინიკა არსებობს, რომელსაც, ღმერთმა დაგიფაროს და, გაჭირვების ჟამს იმედით და იმის რწმენით მიაკითხავ, რომ იქ შენს სატკივარს უსათუოდ უწამლებენ.**

**არავითარ ეპითეტს აქ არ გამოვიყენებ, რადგან, ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, ფრიდონ თოდუას კლინიკას არანაირი რეკლამა არ სჭირდება, იქ საქმე „ლაპარაკობს“.**

**რუსლან რუსია**



მურად ალაშვილის ფოტო

## არქიტექტურა

*2011 წლის ბოლოს პრაღის უმაღლესი ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის კათედრამ გამოსცა მონოგრაფია — სასწავლო სახელმძღვანელო „არქიტექტორები, პროგრამები, რეალიზაცია“ (ჩეხურ ენაზე). ესაა „პარალელური ტექსტები არქიტექტურის ისტორიის და თეორიის შესასწავლად“. პრობლემა განხილულია მსოფლიოს 20 არქიტექტორის მაგალითზე, მოიცავს 1900-2010 წლებს. მონოგრაფიის ერთ-ერთი „მონაწილეა“ ჩვენი ცნობილი არქიტექტორი ვახტანგ დავითაია — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, ამერიკის არქიტექტორთა ინსტიტუტის საპატიო წევრი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.*

*მონოგრაფიის ავტორები არიან ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ოლდრიჟიხ შევჩუკი, არქიტექტორები: ონდრჟეი ბენეში, იან დრჟევიკოვსკი და იაროსლავ სლადიჩეკი.*

# კიდევ ერთი აღიარება

**— გილოცავთ, ბატონო ვახტანგ. ეს მართლაც მნიშვნელოვანი ფაქტია. ყოველი მწერალი იამაყებდა იმ წიგნში მოხვედრას, რომელიც იმავდროულად უმაღლესი სკოლის სასწავლო სახელმძღვანელოცაა, და რომელშიც XX საუკუნის მსოფლიოს 20 მწერლის ნაწარმოებია შესული. იგივე განცდა ექნებოდა მხატვარსაც, მოქანდაკესაც, მუსიკოსსაც, სპორტსმენსაც. საინტერესოა ამ ამბის წინაისტორია.**

— ერთი წლის წინათ მივიღე წერილი პროფესორ შევჩუკისგან, მანამდე ეს გვარი ჩემთვის უცნობი იყო, მატყობინებდა, რომ ამზადებენ მონოგრაფიას, XX საუკუნის „მოდერნიზმზე“. მთხოვდა გამეგზავნა CV, ერთ-ერთი სტატია, რომელიც მეტნაკლები სიზუსტით ასახავდა ჩემს არქიტექტურულ პრინციპებს. ასევე, მთხოვდა ნამუშევრების ფოტოებს. მე მისი თხოვნა შევასრულე. შემდეგ იყო ხანგრძლივი პაუზა. სამიოდე თვის წინათ მივიღე წიგნის ამონაბეჭდები, 20-მდე გვერდი 40 ფოტოთი, სტატიით „ტრადიცია, კონტექსტი, კომუნიკაბელობა“. ასეთ ვრცელ „პრეზენტაციას“ ნამდვილად არ ველოდი და, რაც უმთავრესია, გამომიგზავნეს წიგნის ყდის ქსეროასლიც, სადაც აღნიშნული იყო 20-ვე „მონაწილის“ გვარი. თვალებს არ ვუჯერებდი, აქ იყვნენ XX საუკუნის არქიტექტურის კორიფეები: ფრენკ ლოიდ რაიტი, ჰენრი ლუის სალივანი, ადოლფ ლოოსი, ბრუნო ტაუტი, ვალტერ გროპიუსი, „ბაუჰაუსი“ (ევროპული „მოდერნიზმის“, ხელოვნების, დიზაინის და არქიტექტურის ავტორიტეტული სკოლაძ, ლე კორბუზიე, მის ვან დერ როე, ერიხ მენდელსონი, ალდო როსსი, მარიო ბოტტა, ქრისტიან დე პორტზამპარკი...




ამჟამად ჩემ ხელთ არის მონოგრაფიის ეგზემპლარები.

სტილი „მოდერნი“ უაღრესად საინტერესო მოვლენაა. მან ქრონოლოგიურად ჩაანაცვლა „კლასიციზმი“, მისგან კი არაფერი მიუღია მემკვიდრეობით. დიდმა ვალტერ გროპიუსმა ზუსტად აღნიშნა, რომ ახალი არქიტექტურა („მოდერნი“ძ არ არის დიდი არქიტექტურული ხის ერთ-ერთი ტოტი, არამედ დამოუკიდებელი აღმონაცენია ამ ხის ქვეშო. ამით მან მიანიშნა, რომ „ახალი არქიტექტურა“ („მოდერნი“ძ არ არის არქიტექტურული სტილების გენეზისი, არამედ სრულიად ახალი, განსხვავებული მოვლენა, რომელიც კონცეპტუალურად „წვავს“ ხიდებს წარსულთან. საჭიროდ მიმაჩნია მცირე განმარტებაც: განსხვავებით ყველა წინამორბედი არქიტექტურული სტილებისაგან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდნენ ერთი და იგივე სახელით და ერთი და იგივე მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპებით, სტილი „მოდერნი“ გაცილებით მრავალსახა და საავტოროა. ეს **მრავალსახეობა** მის მრავალსახელობაშიც გამოვლინდა — „ახალი არქიტექტურა“, „ინტერნაციონალური სტილი“, „ფუნქციონალიზმი“, „რაციონალიზმი“, „კორბუზიანული სტილი“. ფაქტობრივად, რუსული „კონსტრუქტივიზმიც“ იგივე მოვლენა იყო, თუმცა გარემოებათა გამო გაცილებით ხანმოკლე.

ალბათ, ამის გამო ჩეხმა ავტორებმა „მრავალი მოდერნის“ თეორიის ჩვენება სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე არქიტექტორების პრაქტიკული და თეორიული შრომების „ექსპოზიციაზე“ ააგეს.

**— ხომ არა გაქვთ რაიმე ინფორმაცია, რა ნიშნით შეირჩა „მონაწილეები“?..**

— ასეთ შეკითხვას ავტორებს, ბუნებრივია, ვერ დავუსვამდი, მაგრამ შესავალ სტატიაში არის განმარტება მონოგრაფიის მიზანზე და გარკვეულწილად „მონაწილეების“ შერჩევის პრინციპზეც.

მიზანი: გავერკვეთ რა მიმართულებით მიდის თანამედროვე არქიტექტურა, როგორია მისი მისწრაფებანი, არის კი სტუდენტი მზად საიმისოდ, რომ მოზღვავებული ინფორმაციის პირობებში გაერკვეს ჭეშმარიტ ფასეულობებში, ხომ არ არის საშიშროება იმისა, რომ ნიჭიერი, „კომპიუტერულად მოაზროვნე სტუდენტი“ იქცეს „ინტერნეტ ტურისტად არქიტექტურაში“. მონოგრაფიის მიზანია გააღვიძოს სტუდენტებში უნარი, აითვისონ ინფორმაცია ისე, რომ ფაქტებიდან გადავიდნენ შემეცნებაზე და ცოდნაზე.

რაც შეეხება მონაწილეთა შერჩევის საკითხს, აქაც არის გარკვეული მინიშნება — „შერჩეულია პროგრამები, დეკლარაციები (სტატიები, ლექციებიძ იმ არქიტექტორებისა და ჯგუფებისა, რომელთა ცნობილი ტექსტები მოქცეულია 1900-2010 წლებში. ეს პერიოდი საკმაო მანძილია იმისათვის, რომ ჩვენი დროის დისტანციიდან, ძალიან გვიანი მოდერნის პოზიციიდან, დავადგინოთ, რომ ***არ იყო ერთი მოდერნი, არამედ იყო ბევრი მოდერნი, პოსტმოდერნის შემოსვლა და თვითრეფლექსიის ეპოქა, ძალიან გვიანი მოდერნი.*** **ტექსტები და ფოტოები ამტკიცებენ, რომ არის მნიშვნელოვნად განსხვავებული შთაგონების წყაროები, მოდერნის დამოუკიდებელი მიმდინარეობები... და რომ ისინი ცალ-ცალკე ჩაედინებიან მთლიან ნაკადში თავიანთი განვითარების ტენდენციებით“.**

ამის მეტი „მონაწილეთა შერჩევის“ თაობაზე არაფერი ვიცი. რა თქმა უნდა, დიდად მეამაყება ასეთ დასში მოხვედრა.

ესაუბრა
**სპარტაკ ქოზულია**

## სხვა გაზეთიდან



# კახა კალაძე:
# ეს გამხნევების და მადლობის ტაში იყო

(მეორე გვერდიდან) პოზიტიურს რაც შეეხება, გამოჩნდნენ სპეციალისტები, რომელთაც უკვე ნათქვამი აქვთ თავიანთი სიტყვა ქართულ ფეხბურთში, ავტორიტეტი, ენერგია, გამოცდილება და პასუხისმგებლობა არ აკლიათ, რაც იძლევა იმედს, რომ სწორი მიმართულება მიეცემა ქართულ ფეხბურთს.

**— თუ ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის გუნდი მოვა, რა რჩევას მისცემ ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის?**

— ამას ჭირდება ანალიზი და ანალიზის შედეგად შესრულდება მთელი რიგი სამუშაოები, მათ შორის ბავშვთა ფეხბურთში არა მარტო დედაქალაქში, არამედ რეგიონებშიც. აუცილებლად უნდა მიხედვა და ყურადღება საფეხბურთო ინფრასტრუქტურას, ასამაღლებელია მსაჯობის დონე, მოსამზადებელია სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრები ფეხბურთელთათვის. მთელი რიგი ღონისძიებებია ჩასატარებელი.

აუცილებელია, ფეხბურთელთა ანაზღაურება გაიზარდოს და 16-18 წლის ნიჭიერი ახალგაზრდები ხელფასისათვის არასაფეხბურთო ქვეყნების კლუბებში არ მიდიოდნენ სათამაშოდ. ყველაფერ ამას უნდა სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობა და თანადგომა.

**— ფეხბურთელის კარიერის შემდეგ, რას აპირებ? პოლიტიკოსობა, თუ ისევ ფეხბურთში საქმიანობას?**

— ჯერ აქტიურ სპორტში ვარ და კარიერას როდესაც დავამთავრებ, გეგმებსა და მიზნებზე შემდეგ ვისაუბროთ.

**— თემურ ჩხაიძემ გვითხრა, რომ „გაგრის“ დუბლების მწვრთნელობიდან იმიტომ გაუშვეს, რომ ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას დაუჭირა მხარი. „გაგრას“ ვთხოვეთ კომენტარი და არ გააკეთა...**

— თემურ ჩხაიძე ლანჩხუთის „გურიის“ თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო, თამაშობდა თბილისის „დინამოში“, იყო საბჭოთა კავშირის იუნიორთა ნაკრების კაპიტანი და ასეთ პატივსაცემ ადამიანს როგორ მოექცნენ. ადამიანმა გამოხატა თავისი აზრი და ამისათვის დაისაჯა. ნუთუ თემურ ჩხაიძესნაირ ამაგდარ ადამიანებს თავიანთი აზრის გამოხატვის საშუალებაც კი არ უნდა ჰქონდეთ?!

აქვე თემას გადავუხვევ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქუთაისის „ტორპედოს“ ყველა გულშემატკივარს და სრულიად ქუთაისს თანაგრძნობა გამოვუცხადო ცნობილი ფეხბურთელის, მერაბ მეგრელაძის გარდაცვალების გამო. ნამდვილად დიდია მთლიანად ქართული ფეხბურთისათვის ბატონი მერაბის მიერ გაწეული ღვაწლი და ამაგი.

**— კახა კალაძე ინტერვიუებში ყოველთვის გულახდილი იყო? ყოველთვის იმას ამბობდა, რასაც ფიქრობდა? ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი სენი სწორედ ის არის, რომ ადამიანები არ ლაპარაკობენ იმას, რასაც ფიქრობენ, ასეა ფეხბურთშიც. არ მეთანხმები?**

— სხვის მაგივრად ნამდვილად ვერ გიპასუხებ, მე კი მართლა გულახდილი ვარ ჟურნალისტებთან ურთიერთობისას. იყო რამოდენიმე გაუგებრობა, მაგრამ უცბად აღმოიფხვრა და დღეს ამას ღიმილით ვიხსენებთ ორივე მხარე.

**— რა რჩევას მისცემდი საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ფეხბურთელებს?**

— რჩევა მწვრთნელის კომპეტენციაა და ასე ვერ გავკადნიერდები, თხოვნით კი უბრალოდ ვთხოვ, რომ როდესაც საქმე ნაკრებს ეხება, პიროვნული მე უკან გადადონ და ძალების მთელი კონცენტრირება მოახდინონ. ახალგაზრდებმა მთელი გულით და სულით უნდა გაიაზრონ, რომ ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავენ.

**— ნაკრებიდან რომ წახვედი, თანაგუნდელებმა არ დაგირეკეს? რა გითხრეს კობიაშვილმა და იაშვილმა? და გუნდის იმ წამყვანმა ფეხბურთელებმა, მანამდე რომ დატოვეს ნაკრები, მაგალითად შოთა არველაძემ, გიორგი ქინქლაძემ, გოჩა ჯამარაულმა... როგორი იყო მათი რეაქცია?**

— მადლობა ბიჭებს, ყველას — ნაკრებიდან წასულსაც და მოქმედ ფეხბურთელებსაც. ძალიან ბევრმა დამირეკა, ბევრმა თავისი აზრი და დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ღიად და დაუფარავად გამოხატა პრესის ფურცლებიდან.

**— კალაძე თვითონ თუ აპირებს ინვესტიციების ჩადებას ქართულ ფეხბურთში?**

— აუცილებლად, უბრალოდ, ამჟამად ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მთელ რიგ პროექტებს ვერ ვახორციელებ, მაგრამ აუცილებლად ჩავერთვები ქართული ფეხბურთის ინვესტირებაში. მე ყოველთვის გვერდით დავუდგები ქართული სპორტის განვითარებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის.

**— მომდევნო შესარჩევში რა შედეგი ექნება ჩვენს ნაკრებს? როგორია კალაძის პროგნოზი?**

— საერთოდ პროგნოზების გაკეთებას ვერიდები, უბრალოდ ვისურვებდი, რომ ბევრად წარმატებული ყოფილიყოს ნაკრების გამოსვლა, საერთოდ ,ნაკრებს მინდა ვუსურვო წინსვლა და რაც შეიძლება მეტი სიხარული მოეტანოს გულშემატკივრებისათვის.

**— ნაკრებიდან წასვლაზე განცხადება რომ გააკეთე, ტაში დაგიკრეს. როგორ ფიქრობ, რის გამო დაგიკრეს ტაში?**

— ამ თემაზე სპეკულაცია დაიწყო ერთდროულად რამდენიმე მართულმა საინფორმაციო საშუალებამ, ეს შემთხვევით არ მომხდარა. ესენი ჩამოყალიბდნენ, ეტყობა, ტაშის დამკვრელთა ამოცნობაში, სინამდვილეში კი ვინც ტაში დამიკრა, რამდენიმე ადამიანმა მითხრა, რომ ეს იყო ჩემი გამხნევებისა და ნაკრებში გატარებული წლებისადმი მადლობის გამომხატველი ტაში...

სპორტული გაზეთი „ლელო“
10. II.2012



ლეილა ამირეჯიბი, თამარ ჯავახიშვილი, ჭაბუა ამირეჯიბი, ქუცნა ამირეჯიბი. 1993 წ

**სახარების ლექსსა და ლექსს შუა მორწმუნის დუმილი ისმის...“**

**მ.პრუსტი**

**„მე მაქვს სიჩუმე...“**

**თ.ჯავახიშვილი**

# კეთილი პური,
## ანუ ერთი ეპითეტის გარშემო

თამარ ჯავახიშვილის ლექსებში იმგვარი სიჩუმეა ხოლმე ჩამომდგარი, თითქო ანგელოზმა ჩამოიარაო.

**„წითელი ღვინო... ძველი ხელადა...**
**ხინკლის ლანგარი... მსუბუქი ორთქლი...**
**ქართული ყველი, მწვანილი და**
**კეთილი პური...**
**ნეტავი, თქვენთან მაზიარა, ძმებო,**
**პურ-მარილს.**
**ნეტავი, თქვენი გამაგონა ახლა დუმილი...“**

აქ ყოველი სიტყვა ქართულია და რაკი ქართულია – ქრისტიანია. და რაკი ქრისტიანია – კეთილი.

„**კეთილი** პური: ანუ, პური ჩვენი არსობისა.

პურია ქრისტეს სხეული.

არის დედას პური. არის თეთრი, შავი, რუხი, შოთი პური.

მითხარი, რა ეპითეტი გაქვს და გეტყვი, ვინ ხარ შენ.

„**კეთილი** პური“.

„ცოდნა, სწავლა-განათლება არსებითი პურია“ (ილიაძ.

„ცოდნა – სტუმარია. ჭკუა მასპინძელი. ცუდ მასპინძელთან სტუმარი დიდხანს არ გაჩერდება“ ( პეტრე დადიანიძ.

თამარ ჯავახიშვილის „**კეთილი** პური“ სტუმარ-მასპინძლის გამაერთიანებელია.

სიკეთით სავსეა თამარ ჯავახიშვილის პოეზია. უანგარო სიკეთით, კარგი ქენი, ქვას დადევი, გაივლი და წინ დაგვხვდება. ეს თითქმის იგივეა, როგორიც გახლავთ მარადი პოეტის: „რასაცა გასცემ, შენია“. მაგრამ მივუბრუნდეთ წინარე ანდაზას: წინ როგორ დაგიხვდება, თუკი რაც გააკეთე, გზად დატოვე და გაიარე? წინ – რა არის? მომავალი ცხოვრება, სამოთხე, საიქიო? თუ წინ ისაა, რაც არის შენს უკან მომავალი, შემდეგი მგზავრი, შემდეგი თაობა-შთამომავლობა. ჯერ რომ არ არიან, მაგრამ უეჭველად მოვლენ. და ისინი იგემებენ კეთილ ნაყოფს. ამგვარია უანგარო სიკეთე. ასე, ერთიანდება წარსული, აწმყო და მომავალი.

**„ანდა ეს წამიც გარდასულში ყოფილიყო,**
**მერე მეამბნა, – გიგონებდით-მეთქი**
**იმ ღამეს,**
**რანი ხართ-მეთქი, –**
**რომ უთქვენოდ ლუკმას ვერა ვტეხთ“.**

სასწაული ლექსია!

თუ ყველა ერთად არ მოგროვდა, პური არ გაიტეხება. თუმცა სუფრა უკვე გაწყობილია, მეინახეებიც სხედან მაგიდასთან, მაგრამ ხმას არ იღებენ. სდუმან. „ნეტავი თქვენი გამაგონა ახლა დუმილი“. ლოცულობენ. ამ სტრიქონმა მომაგონა პრუსტის მარად-სახსოვარი გამონათქვამი.

მაგრამ უმთავრესზე არაფერი მითქვამს.

„არა პურითა ხოლო“.



მაშ, რითი?

სიტყვით, გვასწავლის მაცხოვარი ჩვენი. და პურია სიტყვა იგი. „**კეთილი** პური“.

ამ ეპითეტმა კი, კერძოდ, აი, რა მომაგონა:

„ვასილი ივანოვიჩს, როგორც ნაკლებად დატვირთულს, დიდი პური აჰკიდეს“.

„ო, როგორ მძაგხარ, პურო არსობისა!“

მნიშვნელობა არა აქვს, ამას ასე ვასილი ივანოვიჩი ამბობს თუ ავტორი, – ორივე მათგანი გათახსირებულია და ღვთის პირიდან გავარდნილი.

ახლა ვნახოთ, თუ რას ამბობს დღეს რუსეთის ერთ-ერთი უსაყვარლესი პოეტი – ნიკოლაი რუბცოვი.

„პურს, შვილო, თვითონ მიაქვს თავისი თავი“.

მნიშვნელობა არა აქვს, ამას ასე გამზრდელთ დედა ეუბნება ვაჟიშვილს თუ თავად ავტორმა დაახასიათა ამრიგად „პური ჩვენი არსობისა“.

ორივე მათგანი ქრისტიანია და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი.

ამგვარია არაეროვნული მწერლის (ვ.ნაბოკოვისძ და ეროვნული მწერლის (ნ.რუბცოვისძ მიმართება საგან-მოვლენასთან.

თამარ ჯავახიშვილის რელიგიურობა-ღვთისმოსაობა (რწმენა-თვალსაზრისიძ, მეტწილად, ჩემი გაგებით, გურამიშვილის პოეზიიდან გამომდინარეობს, მისი სულიერი ნათესავია. მაგრამ, რაღა შორს წავიდეთ, თამარ ჯავახიშვილი გახლავთ ჩვენი უპირველესი მესიტყვის ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის – ბერი დავითის მეუღლე, რაც გაცილებით მეტ შინაარსს იტევს, იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მე და შენ გვეგონოს, ძვირფასო მკითხველო.

კითხვის შესახებ კი, თქვენს მონა-მორჩილს, მეტად კნინი აზრი გააჩნია:

დღეის საქართველოს არ აქვს კითხვის დრო, წიგნის დრო წავიდა. „შენს რტოებში დრო არ არის სხივის“. იქნება ამიტომაც არის, რომ ძალზე იშვიათად თუ გამოაქვეყნებს ხოლმე თამარ ჯავახიშვილი თავის ნაფიქრალ-ნახელავს? არ ვიცი. ვიცი, რომ წინამო (ფასადიძ სჯაბნის შინამოს, ფორმა-შინაარსს. ვიგულისხმოთ, თვალი – გულს (სულსძ. მოარული გამონათქვამებია: „შენი ლექსი ვნახე“, „შენი წერილი ვნახე“, შენი მოთხრობა ვნახე“ და მისთანანი. ადრე ვამბობდით: შენი ლექსი წავიკითხე, შენი წერილი წავიკითხე, შენი მოთხრობა წავიკითხე და მისთანანი.

გავიმეოროთ: დღეის საქართველო არ სწყალობს პოეტს (მესიტყვესძ.

**„ჩინურ კვიპაროსზე**
**ვარდისფერ ჩიტუნას**
**ერთი რტო მოსწონს და**
**ხმამაღლა უსტვენს,**
**არც ამ კვიპაროსთან ჩერდება**
**ვინმე**
**და ამ მგალობელსაც არავინ**
**უსმენს“.**

დათა თუთაშხიასი არ იყოს: ასეა ეს!

და მაინც: აქ არ შემიძლია არ მოვიყვანო თამარ ჯავახიშვილის ერთ-ერთი ლექსი-შედევრი:

**„ლექსები კი არ იწერება, – ლექსები**
**ხდება,**
**მსგავსად ელდისა, მოვლენისა,**
**რაღაცის მსგავსად,**
**და სული მხოლოდ მონაწილეა,**
**კი არ დაწერეს – ეს მოხდა ასე.**
**ეს ხდება ხოლმე, – ვით მიწისძვრა,**
**ვით ცისარტყელა...**
**ან ისე, – თითქოს ანგელოზმა**
**ცრემლი მოგწმინდა...**
**მოხდება რაღაც უეჭველი,**
**ვით ერთხელ ძველად**
**მოხდა „მერანი“, „განთიადი“ და**
**„ნიკორწმინდა“!**

დიდი ამერიკელი პოეტი – რობერტ ფროსტი, ზოგიერთ თავის ლექსს მიაწერდა ხოლმე ბოლოში: „წაიკითხეთ ორგზის“ ან კიდევ, „წაიკითხეთ სამგზის“... ხოლო თუკი ჩვენ, მკითხველებს, სულითა და გულით გვინდა გარკვევა, თუ როგორი პასუხი უნდა გაეცეს მარადიულ კითხვას: „რა არის პოეზია?“ – თამარ ჯავახიშვილის ეს ლექსი, ფროსტის მითითების კვალობაზე, არა თუ ორ-სამგზის, არამედ, უფრო ხშირ-ხშირად უნდა გადავიკითხოთ:

**„ლექსები კი არ იწერება,**
**– ლექსები ხდება,**
**მსგავსად ელდისა, მოვლენისა,**
**რაღაცის მსგავსად,**
**და სული მხოლოდ მონაწილეა,**
**კი არ დაწერეს, – ეს მოხდა ასე...“** და ა.შ.

**მურმან ჯგუბურია,**
თებერვალი, 2012 წ.

**P. S. გასული წლის მიწურულს, უცხოეთში (პერედელკინოში) ყოფნისას დავწერე ესე „რა არის პოეზია?“, რაც ჩვენმა სოლიდურმა ჟურნალმა გამოაქვეყნა („ჩვენი მწერლობა“, 2012 წ. იანვარი. № 2).**

**ვწუხვარ, რომ თამარ ჯავახიშვილის მიერ მოხმობილი ლექსი ესეის წერისას არ მომაგონდა. მაგრამ, აი, რას გვესაუბრება მსგავს ვითარებაზე გენიალური „დაო დეძინი“:**

**„საუკეთესო მთავარი ის არის, ვისი არსებობაც არ იციან“. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი მეთაურის არსებობა საეჭვო იყოს. ასევე შეიძლება ითქვას, რომ არის ადამიანი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ერთხელაც არ აიხედავს ცისკენ, თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ცა არ არის.**

**მ. ჯ.**

# 8 თებერვლის საღამო „ვერიკოში“

**ლამაზი საღამო მოეწყო 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენებისა და ჩვენი დედაუნივერსიტეტის დაბადების დღეს ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრ „ვერიკოში“. ქალთა ორი ორგანიზაციის – საქართველოში მსოფლიოს ქართველ და ებრაელ ქალთა მეგობრობის ასოციაციისა (ევა ბაბალაშვილი) და საერთაშორისო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ (ნელი გურგენიძე, მაია კოპაძე-კვეზერელი) – ერთობლივი პროექტის ეგიდით იმ დღის გმირებად წარმოდგენილნი იყვნენ „ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოში ზოჰარ (ზურაბ) დავითაშვილი და თემურ ჩალაბაშვილი.**

ბატონი ზოჰარი ახალგაზრდა კაცი ბრძანდება, ენერგიულად ჩაება საქმიანობაში. იგი თბილისში დაბადებულ-აღზრდილია, 18 წლისა ავიდა ისრაელში და მხოლოდ 11 წლის შემდეგ, თბილისელი ქართველი ებრაელი ქალიშვილის სიყვარულის გამო დაბრუნდა თავის მეორე (იქნებ პირველძ სამშობლოში, დაქორწინდა, შეეძინა შვილი და, ბუნებრივია, აქ დაფუძნდა. მას მიესალმნენ და წარმატებები უსურვეს თბილისის ებრაული თემის ღირსეულმა წარმომადგენლებმა ჯემალ აჯიაშვილმა, ზაირა დავარაშვილმა და სხვებმა.

თემურ ჩალაბაშვილს კი ქართველი მკითხველის წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. საგანგებოდ არ ჩამიწერია, და ვშიშობ, ვინმე არ გამომრჩეს, ამიტომაც, სხვების მიმართ პატიების თხოვნით, მხოლოდ ზოგიერთ მოღვაწეს დავასახელებ, რომლებმაც, თუნდაც თავიანთი დასწრებით, დიდი პატივი მიაგეს იმ დღის გმირებს, თუმცა ბევრი მათგანი სიტყვითაც გამოვიდა და სიმღერითაც: პროფესორები ნელი ჩაფიძე, რევაზ ბალანჩივაძე, ვალერი ასათიანი, გივი წიწუაშვილი, კომპოზიტორები: ქალბატონი მარიკა კვალიაშვილი და ვაჟა აზარაშვილი, რომლის ვარსკვლავიც სულ ახლახან, 2011 წლის ბოლოს გაიხსნა დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, მომღერალი თემურ წიკლაური და ბევრი სხვა. გიტარის თანხლებით იმღერეს, პოეტს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს „ჩალაბას“ მეგობრებმა, და, რაც მთავარია, თემომ თავისი ლექსებით დაატკბო დამსწრე საზოგადოება.

ეკრანზე უჩვენეს, აგრეთვე, რამდენიმე შესანიშნავი კლიპი, რომლებიც ჩალაბაშვილის დიდებულ ლექსებზე შეიქმნა, ხოლო ქალბატონმა ელდინო საღარაძემ კვლავ აგვატირა და ღრმად ჩაგვაფიქრა, იმდენად ნატიფად, ამაღლებულად და გრძნობით წაიკითხა პოეტის ლექსები. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო აფხაზურ თემაზე, უფრო სწორად, აფხაზეთის წაგებულ ომში დაღუპული ქართველი ბიჭების საგალობელი.

ბოლოს, უგემრიელესი ტორტისა და რამდენიმე ბოკალი შამპანურის თანხლებით მოეწყო დავითაშვილ-ჩალაბაშვილის წყვილის დაჯილდოება მეტად საინტერესო საჩუქრებით, საპატიო სიგელებით.

წამყვანმა ჯამლეტ ხუხაშვილმა, რომელმაც ლამაზი თაიგულებით ბევრი მანდილოსანი დაასაჩუქრა, ძალიან საინტერესოდ, ნიჭიერად და, რაც მთავარია, იმპროვიზებულად ჩაატარა მთელი საღამო.

**დავით გურული**



**ბედი დიდი მამის შვილისა**

# სვეტლანას თბილისური არდადეგები

**სვეტლანა ალილუევამ პირველი წარმოდგენა, თუმცა, საკმაოდ კარიკატურული, თავისი ეროვნული ფესვების შესახებ 6 წლის ასაკში მიიღო. ძმამ ვასილიმ, მაშინ ის 10 წლისა იყო, აცნობა მას დიდი „საიდუმლო“. „იცი, ჩვენი მამა ადრე ქართველი იყო“. ეს ბევრს არაფერს ეუბნებოდა საბჭოთა ბელადის საყვარელ ბავშვს — სვეტლანას, რომელიც მოსკოვის საგარეუბნო აგარაკ ზუბალოვოში იზრდებოდა. ამიტომ ვასილიმ აუხსნა მას, თუ რას ნიშნავს „ქართველად ყოფნა“. „ისინი დადიოდნენ ჩოხაში და ყველას ხანჯლებით ჩეხავდნენ“, — დარწმუნებით აცნობა ვასილიმ, რომელმაც მამის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო ლოთობა და თავი აიშვა, შემდეგ კი, პატიმრობის დროს, ცრემლებით ევედრებოდა ნიკიტა ხრუშჩოვს, მიეცა მისთვის ნება ეცხოვრა საქართველოში. არ მისცეს ამის ნება!**

**სხვათა შორის, მისი საფლავის ქვაზე ყაზანში ამოკვეთილია — ვ.ი.ჯუღაშვილი. დღეს ბევრი ვერ მიხვდება, რომ აქ განისვენებს ვასილი სტალინის ცხედარი, რომელიც, როდესაც 20 წლის ასაკში სამხედრო მფრინავი გახდა მაიორის ჩინით, ოთხი წლის შემდეგ უკვე იყო გენერალი და მოსკოვის სამხედრო-საჰაერო ოლქს სარდლობდა. ეს მიუხედავად იმისა, რომ მაშინ იყო თავისი ყოვლისშემძლე მამის მუდმივი დაუნდობელი კრიტიკისა და მკაცრი საორგანიზაციო დასჯების ქვეშ — სწავლისთვის ქრონიკული თავის არიდების, ლოთობის, ორგიების, სამსახურებრივი უდისციპლინობისთვის.**

**სვეტლანა ალილუევამ, რომელიც 2011 წლის ნოემბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხუცთა სახლში თავისი უკანასკნელი — ანგარიშით მეხუთე — ქმრის გვარით პიტერსი და სახელით ლანა, გარდაიცვალა, ძმისგან განსხვავებით, მიიღო ნებართვა გადმოსახლებულიყო საქართველოში.**

**საინტერესოა გავადევნოთ თვალი, თუ რატომ აირჩია სვეტლანამ თავისი მშფოთვარე გზის (ის წერს: „ჩემი უცნაური, უნიჭო, ორმაგი ცხოვრება...“) რაღაც მონაკვეთზე — პირადი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით — დაეწყო თავისი ცხოვრება სუფთა ფურცლიდან სწორედ საქართველოში. მადლობა ღმერთს, მისი ცნობილი „20 წერილი მეგობარს“, რომელიც დაწერილია განსაკუთრებული ემოციური აღმავლობით 1963 წელს 37 წლის ასაკში 35 დღეში... შევნიშნავთ, რომ ეს, ერთ-ერთი სრულყოფილი, ავტორის შეფასებით, აღმსარებლობითი ჟანრის წიგნი, იქმნებოდა არა კრემლში, „რომელსაც ვერ ვიტან“, — აღნიშნავდა ავტორი, — არამედ მოსკოვის მახლობლად — სოფელ ჟუკოვკაში. „აქ არის ჩემი სამშობლო“, — წერს სვეტლანა. აქ, „ზედაფენებისა და მკვებავებისაგან“ შორის, მას ჰქონდა „ადამიანების ამ წრისგან განშორებით, მათი ინტერესებისგან, ჩვევების, მათი სულისკვეთებისა და საქმისაგან განცალკევებულობის შესაძლებლობა“.**



## „მამა მთლად გარუსდა...“

**„არ ვიცი არც ერთი ქართველი, რომელიც ასე დაკარგავდა თავის ეროვნულ თვისებებს, და ასე ძლიერ შეიყვარებდა ყველაფერ რუსულს...“ „საერთოდ კი ჩვენთან სახლში ქართული არ კულტივირებდა, — მამა მთლად გარუსდა...“** ეს შეფასებები სვეტლანა ალილუევას ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, როდესაც მამასთან ერთად თავის ცხოვრებაზე საუბრობს, მას არ შეუძლია გვერდი აუაროს ქართულ თემას. მით უმეტეს, რომ ყოველდღიურობა მუდმივად ახსენებდა მას საქართველოს.

ბავშვობა და ყრმობა ზუბალოვოში გაატარა, სახლში, რომელიც **„ადრე უმცროს ზუბალოვს, ბათუმელ ნავთობმრეწველს, ეკუთვნოდა“**. დედა — ნადეჟდა ალილუევა **„გაიზარდა კავკასიაში და უყვარდა საქართველო, და იცნობდა მას შესანიშნავად“**. პაპა სერგეი ალილუევი მუშაობდა თბილისში რკინიგზის სახელოსნოებში. ბებია — ოლგა რომანენკო დაიბადა საქართველოში, **„იქ გაიზარდა, მთელი ცხოვრების მანძილზე უყვარდა ეს ქვეყანა“**. მისი მამა — ევგენი ფედორენკო გაიზარდა და ცხოვრობდა საქართველოში, „მისი დედა ქართველი იყო და ქართულად ლაპარაკობდა“. უფროსი ძმა იაშა იყო სტალინის პირველი ცოლის ეკატერინე სვანიძისგან. ეკატერინე კი გახლდათ და ალიოშა სვანიძისა, ვინც იყო ძველი ბოლშევიკი, ცნობილი ფინანსისტი, მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა ევროპის ქვეყნებში. ბებიასთან შეხვედრა, მისი მოფერებითი სიტყვები **„ვაიმე, შვილო“, „გენაცვალე, ჭირიმე“** — კარგად დაამახსოვრდა სვეტლანას და დატოვა კვალი მის სულზე.

მათ სახლში ხშირად იყვნენ სტუმრები საქართველოდან, ჩამოჰქონდათ ღვინო, ყურძენი, ხილი — **„უამისოდ ქართველებს არ შეუძლიათ“**. სუფრაზე ხშირად მოჰქონდათ ღვინო — **„ნამდვილი სოფლის ღვინო“, „მამამ იცოდა მისი ფასი“. „მას ფირფიტების კარგი კოლექცია ჰქონდა რუსული, ქართული, უკრაინული ხალხური სიმღერებით. სხვა მუსიკა მას არ სწამდა“**. სვეტლანა, როდესაც მამის დაკრძალვას აღწერს, წერს, რომ სვეტებიან დარბაზში გაისმოდა სამგლოვიარო მუსიკა — **„ძველი ქართული აკვნის სიმღერა, გამომხატველი, სევდიანი მელოდიით...“**

## სტუმრობა საქართველოში

სტალინის სიცოცხლეში სვეტლანა ორჯერ იყო საქართველოში. 1934 წელს იაშა, ვასილი და ის ეწვივნენ ბებიას თბილისში — **„იგი მაშინ ავად იყო“**. ისინი ბერიას სახლში შეჩერდნენ. სვეტლანა წერს: **„მაშინ თბილისში ჩვენ თითქმის ერთი კვირა ვიყავით, და ბებიამ მძივები მაჩუქა... ის ცხოვრობდა რომელიღაც ძველ, ლამაზ სასახლეში, რომელსაც პარკი ჰქონდა. ეკავა ბნელი, დაბალჭერიანი პატარა ოთახი ფანჯრებით ეზოსკენ. კუთხეში რკინის საწოლი იდგა... საწოლზე იჯდა მოხუცი ქალი. მიგვიყვანეს მასთან, ის სიყვარულით გვეხვეოდა ყველას თავისი გაჩხიკული ხელებით, გვკოცნიდა და რაღაცას ამბობდა ქართულად... ესმოდა მხოლოდ იაშას, და უპასუხებდა ხოლმე მას, — ჩვენ კი ჩუმად ვიყავით“. „ბებიას,** — აგრძელებს სვეტლანა, **— ჰქონდა თავისი პრინციპები, პრინციპები რელიგიური ადამიანისა, რომელმაც გამოიარა მკაცრი, მძიმე, პატიოსანი და ღირსეული ცხოვრება. მისი სიმტკიცე, სიჯიუტე, მისი სიმკაცრე, მისი პურიტანული მორალი, პირქუში ვაჟკაცური ხასიათი — ეს ყველაფერი მამაში გადავიდა“.**

1951 წელს სტალინი დასასვენებლად საქართველოში, ბორჯომში ჩავიდა, და იქ ქალიშვილი გამოიძახა. **„მე იქ მასთან ორი კვირა გავატარე. ის ისვენებდა, და მე ვხედავდი, როგორ ტკბებოდა ის საქართველოს ტკბილი ჰაერით, მტკვრიდან მონაბერი ნიავით, ლიკანის სასახლეს რომ ჩაუდის გვერდით, სადაც ის გაჩერდა...“ „ის სთხოვდა ხოლმე ადგილობრივ თანამშრომლებს დაეჭირათ ცოცხალი, იხსენებდა თევზების ქართულ სახელწოდებებს და ტკბებოდა მოგონებებით“.** სვეტლანა ალილუევა მოსკოვს მამაზე ადრე გაემგზავრა. ბორჯომიდან 6 ოქტომბერს ვასილთან ერთად გორში შეიარა, რომ იქაურობა დაეთვალიერებინათ. როდესაც ამ მოგზაურობას აღწერს, ის მოულოდნელად აღიარებს: **„... და მე აქ ვიგრძენი, რომ ეს ჩემი მშობლიური მიწაა — ნამცეცა ველი მტკვრის მოსახვევში, რომელიც გარს უვლის შიშველ გორაკს, ციხესიმაგრე რომ ამშვენებს, პატარა ქალაქი ქედის ძირში, ირგვლივ კი — ბაღები, მზე, ვენახები, ვერცხლისფერი მტკვარი — წყნარი და მშვიდი. ირგვლივ კი — მთებია. ისინი ეშვებიან ხეობისკენ, სადაც სოფელი ატენია, თავისი ოქროსფერი შესანიშნავი ღვინით, ხეობაში კი არის ატენის ეკლესია ქართული კლასიკური არქიტექტურით, XI საუკუნის ფრესკებით“. ამ სურათის ხილვის დროს როდესაც თავის მდგომარეობას აღწერს, იგი ამბობს: „რაღაც გადატრიალდა ჩემს სულში...“**



თავის მოგონებებში სვეტლანას მოჰყავს მამის ორი წერილი, რომლებიც მან მას და მის ძმას გაუგზავნა 1935 წელს. პირველში ის იტყობინება: **„გიგზავნით ტკბილეულს, რომელიც ამ დღეებში ტფილისიდან დედაჩემმა, ბებიათქვენმა გამოგიგზავნათ. გაიყავით შუაზე, ოღონდ უჩხუბრად. გაუმასპინძლდით, ვისაც გინდათ“...** მეორეში, 18 ოქტომბრის თარიღით, სტალინი წერს: **„გიგზავნი ბროწეულს, მანდარინს და დამტკბარ ხილს. ჭამე — იმხიარულე, ჩემო დიასახლისო! ვასიას არაფერს ვუგზავნი იმიტომ, რომ ის ჯერ ისევ ცუდად სწავლობს და დაპირებებით მავსებს... მოგახსენებ, ამხანაგო დიასახლისო, რომ ვიყავი ტფილისში ერთი დღით, მოვინახულე დედა და მას შენი და ვასიას მოკითხვა გადავეცი. ის, ასე თუ ისე, ჯანმრთელადაა და მაგრად გკოცნით ორივე თქვენგანს“.**

ვამთავრებ **„ქართულ თემას“** სვეტლანა ალილუევას მოგონებებში და არ შემიძლია არ მოვიყვანო ავტორის ციტატა, რომელიც ბევრ რამეზე მეტყველებს: **„... მთელ ჩვენს ოჯახში საქართველო ცხოვრობდა, როგორც სამშობლო. ყველასთვის, — ბებიასთვის პაპასთან ერთად, დედაჩემისთვის საქართველო, თავისი მზიური სიუხვით, თავისი მგზნებარე გრძნობით, თავისი პოეტებით, თავისი მომხიბლაობით, თავადებისა და გლეხებისგან რომ მიმდინარეობენ — ეს არის არაჩვეულებრივი მხარე, ვისაც ხოტბას ასხამდნენ რუსი პოეტები, ცხოვრობდა ჩვენს სახლში სრულიადაც არა იმიტომ, რომ ეს იყო მამას სამშობლო. თავად ის, იქნებ, ყველაზე ნაკლებად იყო ამით აღტაცებული. მას უყვარდა რუსეთი, მან შეიყვარა ციმბირი თავისი მკაცრი სილამაზითა და მდუმარე უხეში ადამიანებით, ის ვერ იტანდა „ფეოდალურ პატივდებას“, ქართველები რომ უძღვნიდნენ“.**

## ორი წელი თბილისში

პერიოდი 1967-დან 1984 წლამდე სვეტლანა ალილუევასთვის აღმოჩნდა ისეთი მოვლენებით აღსავსე, რომლებიც მის ადრინდელ ცხოვრებას მთლიანად უპირისპირდებოდნენ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულ ცხოვრებას მაინც. 1967 წელს საზღვარგარეთ გამოდის მისი წიგნი **„20 წერილი მეგობარს“**, რომელმაც მას სოლიდური ჰონორარი და პოპულარობა მოუტანა, ის ღებულობს პოლიტიკურ თავშესაფარს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც თხოვდება ამერიკელ არქიტექტორ პიტერსზე, მათ გაუჩნდათ გოგონა ოლგა. პიტერსთან განქორწინების შემდეგ სვეტლანა ალილუევა ქალიშვილთან ერთად გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრობდა ინგლისში, ბევრს მოგზაურობს მთელს მსოფლიოში. და აი სენსაცია — მან გადაწყვიტა დაბრუნდეს სსრ კავშირში. საბჭოთა ხელისუფლებამ უმალვე აღუდგინა მას მოქალაქეობა. ქალიშვილ ოლგასთან ერთად მოსკოვში გამოჩენის შემდეგ, 1984 წლის ნოემბერში, სვეტლანა მართავს პრესკონფერენციას, სადაც განაცხადა, რომ დასავლეთში **„ერთი დღეც არ ყოფილა თავისუფალი“**. თავის ადგილსაცხოვრებლად აირჩია საქართველო, თბილისი.

ბედმა ამ პერიოდშიც მოუვლინა მას კომუნისტური ელიტის მფარველობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა კონსტანტინ ჩერნენკომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ედუარდ შევარდნაძეს დაავალა შეექმნა სვეტლანა ალილუევასა და მისი ქალიშვილისთვის თბილისში ცხოვრების ყველა პირობა. ამ დავალების მთავარი შემსრულებელი გახდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს უფროსი ირაკლი ანდრიაძე, რომლის სამსახურსაც ჰქონდა ყველა სათანადო რესურსი — ფინანსურიც, ორგანიზაციულიც, სასურსათოც. ის იხსენებს, რომ სვეტლანა ალილუევასთვის თვითონ არჩევდა ბინას და ავეჯს. საცხოვრებელ ბინაზე რუსთაველის პროსპექტზე სვეტლანამ უარი განაცხადა — ის წინააღმდეგი იყო იმისა, რომ მისთვის რაღაც ფუფუნებითი პირობები შეექმნათ. მან უარი განაცხადა უცხოურ ავეჯზეც, მას მისცეს ადგილობრივი წარმოების ავეჯი, ისევე როგორც პიანინო. ბოლოს და ბოლოს, მას მისცეს კეთილმოწყობილი სამოთახიანი ბინა ვაკეში, უფრო პრესტიჟულ ადგილზე, ვიდრე ცენტრალური პროსპექტია.

სვეტლანას ემსახურებოდა შავი „ვოლგა“ მინისტრთა საბჭოს გარაჟიდან, დაუნიშნეს ფულადი შემოსავლები. პედაგოგები უფასოდ ასწავლიდნენ ოლგას ქართულ ენას, ის საცხენოსნო სპორტითაც ერთობოდა. სვეტლანა და მისი ქალიშვილი დაუმეგობრდნენ მეზობლებს, ქართული კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლებს, ხშირად ჩადიოდნენ გორში იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმში... სხვათა შორის, 1986 წლის თებერვალში ამ სახლ-მუზეუმში აღნიშნა სვეტლანა ალილუევამ თავისი 60 წლისთავი.

1985 წლის ივლისში ედუარდ შევარდნაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე შეცვალა ჯუმბერ პატიაშვილმა. მისი სიტყვებით, ის რამდენჯერმე პირადად შეხვდა სვეტლანა ალილუევას. სვეტლანამ მასზე **„ძლიერი ნებისყოფისა და მამაკაცური ხასიათის“** ქალის შთაბეჭდილება დატოვა. ამავე დროს უკვე იგრძნობოდა, რომ სვეტლანა **„სულ რაღაც ახალს ეძებდა“**, აღნიშნა ჯუმბერ პატიაშვილმა, თქვა, რომ ის **„ყოველთვის მაქსიმალურ ყურადღებას უთმობდა სვეტლანასა და მის ქალიშვილ ოლგას“**. საკითხებს, რომლებიც დაკავშირებული იყო სვეტლანასა და მისი ქალიშვილის ცხოვრების პირობებთან თბილისში, საქართველოს ხელმძღვანელობა წყვეტდა ოპერატიულად. მიუხედავად ამისა, 1986 წლის მარტში, საქართველოს დედაქალაქში ორი წლის ცხოვრების შემდეგ, სვეტლანა და მისი ქალიშვილი მოსკოვში დაბრუნდნენ. **„1986 წლის მარტის დასაწყისში სკკპ 27-ე ყრილობაზე მოსკოვში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მიხეილ გორბაჩოვმა მკითხა: „ჯუმბერ ილიჩ, თუ იცით, რომ სვეტლანა იოსების ასულს თავის ქალიშვილთან ერთად საქართველოდან წასვლა უნდა?“ ჩემთვის ეს შეკითხვა მოულოდნელი იყო — ისინი ხომ კმაყოფილი იყვნენ თბილისში ცხოვრებით და ყველას ეუბნებოდნენ, რომ მათ მოსწონთ საქართველოს დედაქალაქში ყოფნა“,** — იხსენებს პატიაშვილი. გორბაჩოვთან საუბრის შემდეგ თბილისში დაბრუნებული პატიაშვილი 8 მარტის წინა დღეს თავის სამუშაო კაბინეტში ხვდება ქალბატონ სვეტლანას და ულოცავს მომავალ დღესასწაულს. სვეტლანამ მას მადლობა გადაუხადა ყურადღებისთვის, უთხრა, რომ რამდენიმე ხნით ქალიშვილთან ერთად მიდის მოსკოვში. მაგრამ თბილისში ისინი აღარ დაბრუნებულან, ნახევარი წლის შემდეგ კი სსრ კავშირის ხელმძღვანელობის ნებართვით, კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა.

როგორც ჩანს, **„მშობლიური მიწის“** ყივილი დიდხანს არ გაგრძელებულა. არც შეიძლებოდა გაგრძელებულიყო, თუ გავითვალისწინებთ აღზრდის გარემოს და წინა ცხოვრებას. თანაც სვეტლანა ალილუევა თბილისშიც საბჭოთა პირობებში აღმოჩნდა, თუმცა რამდენადმე შერბილებულ, **„ქართულ ვარიანტში“**. მიუხედავად ამისა, მას უკვე დიდი ხანი იყო დისტანცია ეკავა მათთან, ცდილობდა, თუ მის ლექსიკას გამოვიყენებთ, მათგან **„სრულ განშორებას“**. და კიდევ ერთი რამ. როდესაც ბაბუას, სერგეი ალილუევს ახასიათებს, ის გაკვრით აღნიშნავს, რომ მას ბოშური სისხლიც ჰქონდა. ეს, ჩემი აზრით, გარკვეულწილად განსაზღვრავდა ბაბუის მისწრაფებას ხშირად ეცვალა ადგილები. ძნელია დაეთანხმო ასეთ **„გენეტიკურ“ განლაგებას. მაგრამ ფაქტია: სვეტლანა მთელი ცხოვრების მანძილზე სულ „რაღაც ახლის ძიებაში“ იყო.**

## მსოფლიოს უგუნურები ანგრევენ

სვეტლანა ალილუევა აღიარებდა: **„ჩემგან პავლიკ მოროზოვი არ გამოვიდა...“** ასე რომ, მის მოგონებებში სრულ გულწრფელობაზე საუბარი, რასაკვირველია, შორია. იგი ბევრ რამეს მალავს, არ ამბობს ბოლომდე, ინდობს ხსოვნას თავისი მამის შესახებ, ვისთანაც ურთიერთობა ყოველთვის როდი იყო ლამაზი და ტკბილი, თუ ბავშვობის წლებს არ მივიღებთ მხედველობაში. მახლობელი და ნაცნობი ადამიანების დაპატიმრებები, მათი გაქრობა, მჭმუნვარე, გამყინავი საუბრები — ეს ყველაფერი არის მის მოგონებებში, თუმცა ავტორი ცდილობს ყურადღება არ გაამახვილოს ცხოვრების ამ მხარეზე მამის სახლში. ის ამაში ბრალს მამას სდებს, მაგრამ მისი მთავარი რისხვა მაინც ლავრენტი ბერიას წინააღმდეგაა მიმართული. შევთანხმდეთ, მან ვერ შეძლო დაეძლია თავისი გრძნობები მამისადმი და წასულიყო მის წინააღმდეგ...

მაგრამ ამავე დროს გასაოცარია სხვა რამეც: შეიძლება ითქვას, რომ ის გახდა პირველი სსრ კავშირში, ვინც ღიად აიმაღლა ხმა კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ. შორეულ 1963 წელს, როდესაც, თითქოსდა, სისტემას არაფერი ემუქრებოდა, ბელადის ქალიშვილი ოცნებობს **„ჩვენს მომავალ დეკაბრისტებზე — ისინი კიდევ გვასწავლიან, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ...“** სვეტლანა ალილუევას იმედი აქვს, რომ **„პურიტანიზმისა და მარხვის, დახშულობისა და მთელი მსოფლიოსგან გამიჯვნის ამდენი წლის შემდეგ...“ „ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს, ევროპული გახდება რუსეთისთვისაც“.**

უბრალოდ წინასწარმეტყველურია, ეხმიანება ბევრ დღევანდელ რეალიას მისი სიტყვები: **„რა საშინელია, რა უსამართლოა თავად ის ფაქტი, რომ უგუნურები ვარაუდობენ რაღაც „მიზანს“, რისი გულისთვისაც შესაძლებლად მიიჩნევენ დაანგრიონ ცხოვრება — თავისი იქნება, სხვისი, თუნდაც შორეული, უცნობი ხალხისა, — მაგრამ მკრეხელობაა უკვე თავად განზრახვა, დაანგრიო იგი რაღაცისთვის... რისთვის?“**

**გაბრიელ ნამთალაშვილი**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# სამხრეთი ოსეთი: გადამწყვეტი იერიში ინაუგურაციის წინ

ცხინვალში, თვითგამოცხადებული სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქში, 9 თებერვალს საღამოს, იყო მცდელობა აეღოთ სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტობის ექსკანდიდატის ალა ჯიოევას შტაბი. ეს მოხდა ინაუგურაციის წინა დღით, რომელიც ალა ჯიოევამ 10 თებერვლისთვის დანიშნა.

იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა ეს, რადიო თავისუფლებას უამბო ალა ჯიოევას პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ირინა დომბეგოვამ.

– 18 საათსა და 30 წუთზე ალა ჯიოევას შტაბში მოვიდა პროკურატურის გამომძიებელი პლიევი. მან ალა ჯიოევას წარუდგინა უწყება პროკურატურაში გამოძახების შესახებ მოწმედ. ჯიოევამ უპასუხა, რომ, თუ მას 18 საათსა და 30 წუთზე იძახებენ, ამის შესახებ მისთვის უნდა ეცნობებინათ, თუნდაც რამდენიმე საათით ადრე. პლიევი წავიდა. ზუსტად 5 წუთის შემდეგ ოთახში, სადაც ჩვენ ვისხედით – იქ ძირითადად ქალები ვიყავით – შემოიჭრა ხალხი. ისინი ექვსნი იყვნენ, ავტომატებით ხელში და ნიღბებით. ქუჩაშიც ბევრი იყო ასეთი ხალხი, ისინი გარსშემოერტყნენ სახლს. ალა ჯიოევა ეცემოდა, ჩანდა, რომ ძალიან ცუდად იყო. ამჟამად მასთან ექიმები არიან, მაგრამ სანამ ექიმები მოვიდოდნენ, მასთან არავის უშვებდნენ, ქალებსაც კი, რომლებიც ცდილობდნენ მისთვის დახმარების გაწევას. მას ტუჩები გაულურჯდა. ექიმებმა თქვეს, რომ მას ჰიპერტონული კრიზი აქვს. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი იწვა იატაკზე. მას შემდეგ, რაც ჩვენ ოთახიდან გამოგვყარეს, მათ ჯიოევა დივანზე დააწვინეს. ოთახში შესასვლელი კარი, სადაც იგი წევს, დაბლოკეს, მასთან მისვლა არ შემიძლია. ხალხს გადაჭრით არ უნდა მისი გაშვება საავადმყოფოში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საავადმყოფოში მას შეიძლება გაუკეთონ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ.

ეჭვი მაქვს, რომ ეს ეგრეთ წოდებული სახელმწიფო დაცვაა, კოკოითი მას თავისთვის ქმნიდა. როდესაც ისინი შემოიჭრნენ და ხელი წაავლეს ჯიოევას, ზოგმა მუხლებს ქვევით, ერთმა ხელში, დანარჩენმა ორმა მას ფეხებში წაავლო ხელი და წაყვანა უნდოდათ. ქალებმა არ მისცეს საშუალება, რომ ის წაეყვანათ.

შემდეგ მოვიდა პროკურატურის გამომძიებელი – სწორედ ის, ვინც აქ იყო, მან თავი დახარა, შეხედა ქალს და ასევე თავდაღუნული წავიდა.

არ მესმის, ვინ მისცა მათ ასეთი ბრძანება. მათაც ხომ უნდა სცოდნოდათ, რომ ჯიოევა ცუდადაა. რატომ არ მიჰყავთ ეს მებრძოლები? გავიდა უკვე საკმაოდ დიდი დრო, – განაცხადა ირინა დომბეგოვამ რადიო თავისუფლებასთან ინტერვიუში 9 თებერვალს.

მოგვიანებით თვითგამოცხადებული რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი კაბულოვმა „ინტერფაქსს“ აცნობა, რომ ხუთშაბათ საღამოს ოპოზიციის ლიდერის შტაბში მივიდა გამომძიებელი უწყებით დაკითხვაზე გამოძახებასთან დაკავშირებით, მაგრამ საუბრის დროს ჯიოევა ცუდად გახდა, გამომძიებელმა კი გამოიძახა მილიცია და „სასწრაფო დახმარება“. ინფორმაციის თანახმად 10 თებერვლის დილით ჯიოევა საავადმყოფოშია მიკროინსულტზე ეჭვით, მისი მდგომარეობა სტაბილურად მძიმეა.

სიტუაციის შესახებ სამხრეთ ოსეთში გვესაუბრება რადიო თავისუფლების – რადიო თავისუფალი ევროპის მიმომხილველი ანდრეი ბაბიცკი.

– ჯიოევას მომხრეების უკანასკნელი მიტინგი, რომელზეც მან გამოაცხადა კიდეც თავისი განზრახვის შესახებ მოაწყოს ინაუგურაცია, არ იყო მრავალრიცხოვანი. ამჟამად რესპუბლიკაში ჩაღდება უკვე ახალი წინასაარჩევნო კამპანია, რომელშიც ჩაერთო ბევრი პოლიტიკოსიც, ვინც ჯიოევას გარშემო იყვნენ პირველი არჩევნების დროს. ოპოზიცია ძალიან ძლიერად არის გათიშული. ბევრმა ოპოზიციონერმა, რომლებიც ადრე მას უჭერდნენ მხარს, გადაწყვიტა იმოქმედოს დამოუკიდებლად. ეს, რასაკვირველია, ასუსტებს მას, ართმევს შესაძლებლობას დაეყრდნოს მთელ იმ პლატფორმას, რაც მას ადრე ჰქონდა.

***– თუ არის ცნობილი რამე მოსკოვის პოზიციის შესახებ, რომელიც გადამჭრელ გავლენას ახდენს სიტუაციაზე სამხრეთ ოსეთში?***

– ეს პოზიცია პირდაპირ არის გამოხატული. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ვადიმ ბროვცევმა განაცხადა, რომ ის წყვეტს ყოველგვარ ურთიერთობასა და მოლაპარაკებას ჯიოევასთან, რომ ჯიოევა მოქმედებს ხელმოწერილი კომპრომისული შეთანხმების საპირისპიროდ და ყველა მის პრეტენზიას არ გააჩნია არანაირი საფუძველი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვადიმ ბროვცევი – ეს, ფაქტობრივად, პრემიერ-მინისტრია, რომელიც მოსკოვმა დანიშნა და აკონტროლებს რუსეთიდან სამხრეთ ოსეთში გამოგზავნილი ფულის გზასა და გამოყენებას, გასაგებია, რომ მან ასე გამოხატა კრემლის პირდაპირი ნება. შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზეც, რომ მოსკოვში ჯიოევას მრავალგზისი ჩასვლის შედეგების მიხედვით გასაგები იყო, რომ მას უგულებელყოფენ მთავრობაშიც და კრემლშიც, რომ არავის სურს მასთან მოლაპარაკება, არანაირი ლობი მას იქ არ გააჩნია.

***– სამხრეთი ოსეთის ამჟამინდელ ხელისუფლებას ამჟამად აქვს რესურსები, რომ შეინარჩუნოს სიტუაცია კონტროლზე, თუნდაც ახალ არჩევნებამდე?***

– არის რამდენიმე პოლიტიკური ფაქტორი. ერთი მხრივ, არის მოსკოვის კაცი ვადიმ ბროვცევი. მეორე მხრივ, ედუარდ კოკოითი, ექსპრეზიდენტი, რომელიც ინარჩუნებს სერიოზულ კონტროლს ხელისუფლების ინსტიტუტებზე სამხრეთ ოსეთში. დაბოლოს, ოპოზიციის გათიშვა. ჯიოევას ფრთებს გამოეცალნენ ის პოლიტიკოსები, ვინც მას უჭერდა მხარს და დღეს, ფაქტობრივად, მის წინააღმდეგ გამოდიან. ჯამბულათ თედეევმა თქვა, რომ არ აპირებს პოლიტიკაში მოსვლას და დარჩება მხოლოდ სპორტში. ბარანკევიჩმაც, ერთ-ერთმა ყველაზე აშკარა ფიგურამ ჯიოევას გარემოცვაში, ამას წინათ მისცა მეტად უცნაური ინტერვიუ, რომელიც დაკითხვას ჰგავს: ის უპასუხებს შეკითხვებს, რომლებიც მიცემულია აბსოლუტურად არაჟურნალისტურ სტილში. მან განაცხადა, რომ ჯიოევას რესპუბლიკა სისხლისღვრისკენ მიჰყავს. თავად ჯიოევამაც თავისი უცნაური, არათანმიმდევრული მცდელობებით მოიგო პუტინის და მედვედევის გულები, ასევე წაშალა ოპოზიციონერის თავისი სახე. ასე რომ, მაქვს ისეთი შეგრძნება, რომ მისი პოზიცია მეტად ძლიერ შეირყა.

როგორც ცნობილი გახდა, ჯიოევა გონს მოვიდა რეანიმაციაში. ის საუბრობდა, რომ მას სცემდნენ ფეხებით, შეაგდეს მანქანაში, როგორც კატა.

საავადმყოფოში მორიგეობენ ჯიოევას მეუღლე და მილიციონერები. მას ამზადებენ სამკურნალოდ რუსეთში გასაგზავნად.

Radio Free Europe Radio Liberty

## დედამიწის ზურგზე



**იემენში პრეზიდენტის არჩევნებისთვის ემზადებიან: დემონსტრაცია დახვრიტეს საბრძოლო ტყვიებით**

ჯარებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და გაუხსნეს დემონსტრანტებს ცეცხლი ქალაქ ადენში, როდესაც მათ დაიწყეს საბურავების დაწვა და შეეცადნენ იერიშით აეღოთ საარჩევნო კომისიის შენობა. მოკლულია ორი კაცი, ათი დაჭრილია. უწესრიგობის მომხრეები მოითხოვდნენ მოქალაქეთა უფლებების გაფართოებას 21 თებერვლის არჩევნების წინაპერიოდში.

* * *

**ისრაელი და აშშ დაშორდნენ ერთმანეთს „დაუბრუნებლობის წერტილის“ საკითხზე – როდესაც დაიწყებენ ირანის დაბომბვას, უკვე გვიან იქნება**



ისრაელს მიაჩნია, რომ, როდესაც ირანი სამუშაოების უდიდეს ნაწილს ურანის გამდიდრებასთან დაკავშირებით გადაიტანს მიწისქვეშა საცავში ქალაქ კუმის მახლობლად, გრანიტით განმტკიცებული სქელი ფენის ქვეშ, სამხედრო ჩარევა უკვე უნაყოფო იქნება. ამერიკის შეერთებულ შტატებს იმედი აქვს ეკონომიკური ზომების ეფექტიანობისა. ირანს არ სჯერა ისრაელის დარტყმისა.

* * *

**დამუშავებულია ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მკურნალობისთვის ხელმისაწვდომი კიბოს უჯრედები**



მეცნიერებმა, რომლებიც კალიფორნიაში ერთ-ერთი ონკოლოგიური ცენტრის ბაზაზე მუშაობენ, შეძლეს დაენახათ უფრო მეტი, ვიდრე, ადრე კიბოს უჯრედების ოდენობა, რომლებიც ახდენენ ცირკულირებას სისხლში. ვარაუდობენ, რომ მიღებული შედეგები დაგვეხმარება თავიდან ავიცილოთ სიმსივნის გავრცელება ერთი ორგანოდან ან ქსოვილიდან მეორეზე.

* * *

**ავღანეთში აშშ-ს საზღვაო ქვეითი მებრძოლები კვლავ სკანდალში აღმოჩნდნენ: ისინი პოზირებდნენ ეს-ეს-ის სიმბოლიანი დროშის ფონზე**

დამნაშავეების მიმართ უკვე მიღებულია დამსჯელი ზომები. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წრეების ცალკეული წარმომადგენლები მოუწოდებენ ნუ აჩქარდებიან დასკვნასთან დაკავშირებით. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ასოები SS დროშაზე ნიშნავს მზვერავ ჩუბინს (სნაიპერს).



# საქართველოს გამოცდილება მექრთამეობასთან ბრძოლაში

კორუმპირებული ჩინოვნიკები ძალიან მსუქნები არიან? ჯორჯ ორუელის აზრით, ღორები, რომლებიც ცხოველთა ფერმას მართავდნენ, ძალიან მსუქნები იყვნენ და ვაშლსა და რძეს შეექცეოდნენ. შესაძლოა ამ აზრს, მსოფლიო ბანკიც ეთანხმება. გასულ კვირას გამოქვეყნებულ ანგარიშში „საჯარო სამსახურებში კორუფციასთან ბრძოლა: ქართული რეფორმების ქრონიკა“, ავტორები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ 2000-იანი წლების დასაწყისში თავისი უსინდისობით ცნობილი ქართული საგზაო პოლიციის წარმომადგენლების უმეტესობა ჩასუქებული იყო.

რაღა თქმა უნდა, ყველა მსუქანი ჩინოვნიკი კორუმპირებული როდია. კახა ბენდუქიძე, საქართველოს ბევრი ანტიკორუფციული რეფორმის ავტორი, ტანის სისრულითაა დაჯილდოებული. და არც სიგამხდრეა კლეპტოკრატიისგან დაცვის გარანტია: გაიხსენეთ ზაირის პრეზიდენტი მობუტუ.

მაგრამ საკითხი არც ისე უმნიშვნელოა, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს. როდესაც 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ მოხდა, საქართველო დაღდასმული იყო კორუფციით, კრიმინალითა და დისფუნქციური სახელმწიფო სამსახურებით. იმ დროს საგზაო პოლიციას იმის უფლებაც კი ჰქონდა, რომ ფეხით მოსიარულეთათვის წაეგლიჯა ქრთამი. და აი 2010 წელს Transparency International-მა საქართველო კორუფციასთან მსოფლიოს საუკეთესო მებრძოლად დაასახელა.

რა შეიძლება გაითვალისწინონ სხვებმა საქართველოს ამ წარმატებიდან? მთავრობა და პოლიტიკური ნება ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია თავიდანვე დაიმსახურო ნდობა: 2004 წლის დასაწყისში მთავრობას მიაჩნდა, რომ მას სწრაფი შედეგების მისაღწევად 8 თვე დასჭირდება. ყველაზე ცნობილი ფაქტი ის არის, რომ 16,000 საგზაო პოლიციელი ერთ ღამეში გაათავისუფლეს სამსახურიდან. თუ გინდა, რომ ხალხის მხარდაჭერა მოიპოვო, ეფექტურ სიმბოლოებს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბრძოლა ბევრ ფრონტზე ერთდროულად მიმდინარეობდა. იდეოლოგიური მიზანდასახულობა მთავრობის ძალისხმევას სიცხადეს სძენდა. კორუფციის განდევნა უფრო ფართო ლიბერტარიანული ძალისხმევის ნაწილი იყო – პატარა მთავრობა მექრთამეობისათვის ნაკლებ სივრცეს დატოვებდა. იმისთვის, რომ რეფორმები განეხორციელებინათ, მათ ახალი საკადრო შემადგენლობა სჭირდებოდათ – უფრო ხშირად ისეთი ახალგაზრდები, რომელთაც განათლება დასავლეთში ჰქონდათ მიღებული. ხელფასებიც საკმაოდ მაღალი უნდა ყოფილი იმისთვის, რომ ცდუნებისთვის ნამდვილად გაეძლოთ.

ყველაზე სადავო „უჩვეულო გადაწყვეტილებები“ იყო. საქართველოში ეს ხშირად იოლი გზებით სიარულს ნიშნავს. კორუფციაში დადანაშაულებული მაღალი თანამდებობის პირების დაჭერის ვიდეოკადრები საზოგადოებას მთავრობის ძალისხმევის შესახებ ატყობინებდა, თუმცა თავად პროცესს ბევრს არაფერს მატებდა. მთავრობის დაცარიელებული ბიუჯეტის შესავსებად დაპატიმრებულ ჩინოვნიკებს, გათავისუფლების სანაცვლოდ, ნაღდი თანხის გადახდას სთხოვდნენ, რადგან ციხეში მათი დატოვება გადამხდელების ხარჯზე არ ღირდა. ეს ნაბიჯიც წინას წააგავდა.

ბოლოდროინდელი მოვლენები იმის ვარაუდს აჩენს, რომ მთავრობის ავტორიტარული მიდრეკილებანი ცოცხალია და არ ქრება. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების ახალი კანონი მიზნად ისახავს, ყველაზე მდიდარი ქართველი კაცის შეზღუდვას, რათა მან თავისი სიმდიდრე მთავრობის ხელისუფლებიდან გასაშვებად არ გამოიყენოს. წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია აცხადებს, რომ ეს ცვლილებანი კანონში „საფრთხეს უქმნის გამოხატვისა და საკუთრების უფლებას“ და „არათანაბარ საარჩევნო სივრცეს“ ქმნის.

ამავე დროს დეკემბრის დასაწყისში, ორი ისრაელელი ბიზნესმენის რონი ფუქსისა და ზეევ ფრენკელის შეწყალებამ (ისინი გასულ წელს პრემიერ-მინისტრის მოსყიდვის მცდელობის ბრალდებით გაასამართლესძ კიდევ ერთხელ გამოკვეთა შეშფოთება სასამართლოს დამოუკიდებლობის გამო. მთავრობა ამ ნაბიჯს ჰუმანურს უწოდებს, რადგან ორივე პატიმარს ჯანმრთელობის მდგომარეობა შერყეული ჰქონდა. მაგრამ იმავე დღეს იუსტიციის სამინისტრომ განაცხადა, რომ მოაგვარა დავა მათ კომპანიასთან, „ტრამექსთან“. ამ კომპანიას არბიტრაჟის გადაწყვეტილებით, საქართველოსგან 73 მილიონი დოლარი ეკუთვნოდა. ოფიციალური პირები ამ ორ ფაქტს შორის კავშირს უარყოფენ, თუმცა ყველამ ეს უარყოფა სარწმუნოდ არ მიიღო.

ანგარიში ეხმაურება საქართველოს მცდელობას, რომლის თანახმად, ის ცდილობს არაბული სამყაროს ახალშობილი დემოკრატიებისთვის თავი მოდელად გაასაღოს. ანგარიშმა ასევე ხაზი გაუსვა საერთაშორისო არენაზე სააკაშვილის რეაბილიტაციის ფაქტს. მისმა რეპუტაციამ სამხრეთი ოსეთის გამო რუსეთთან 2008 წლის კატასტროფული ომის შემდეგ დარტყმა მიიღო. მაგრამ გასულ კვირას პრეზიდენტმა ობამამ თავისი ქართველი კოლეგა თეთრ სახლში მიიღო და საქართველოში განხორციელებული რეფორმები შეაქო, განიხილა უფრო ღრმა თანამშრომლობის შესაძლებლობანი თავდაცვასა და თავისუფალ ვაჭრობაში.

ამ კვირას ივანიშვილმაც იბრძოლა ვაშინგტონში. ამ ბრძოლას „ნიუ-იორკ თაიმსში“ და „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული წერილის სახე ჰქონდა. ჩიოდა რა „ზეცენტრალიზებულ, თითქმის ნეობოლშევიკური სტილის მმართველობაზე, ისეთზე, რომელმაც დიდი ხანია ამოწურა თავი“, ივანიშვილი ობამას სთხოვდა დახმარებას მომავალი საპარლამენტო არჩევნების თავისუფლებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფაში.

ეს გადამწყვეტი გამოცდა იქნება. საქართველოს სჭირდება უფრო მტკიცე ინსტიტუტები, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლისა და ბალანსის სისტემა.

The Economist

*პარადოქსულია, მაგრამ საქართველოს, რომელსაც უძველესი დროიდან ჰქონდა გასასვლელი ზღვაზე, წარსულში არ ჰყავდა თავისი არც საზღვაო ფლოტი, არც სახელგანთქმული მეზღვაურები ჰყოლია. შუა საუკუნეებში, როდესაც ოდიშს ცოტნე დადიანი მართავდა, აღმოსავლეთი საქართველო კი მონღოლთა უღელქვეშ გმინავდა, ქართველები შეეცადნენ შეექმნათ საზღვაო ფლოტი, მაგრამ ეს მცდელობა უნაყოფო აღმოჩნდა. ნავსადგურში ვენეციაში აგებულ ხომალდებზე გაჩნდა ხანძარი და მთელი ფლოტილია დაიღუპა... სწორედ ამის შესახებ გვიამბობს გრიგოლ აბაშიძე ცოტნე დადიანის შესახებ თავისი ტრილოგიის ბოლოს.*

*მრავალმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ. დღეს დამოუკიდებელ საქართველოს, პირველად თავის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ჰყავს თავისი სამხედრო- საზღვაო ფლოტი, თავისი სამხედრო-საზღვაო კადრები, თუმცა დღეს მათ სხვაგვარად უწოდებენ.*

*ქართული ფლოტი წარმოიშვა ოცი წლის წინათ! და ერთ-ერთი მათგანი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული სამხედრო-საზღვაო ძალების ჩამოყალიბებას, არის* **ალექსანდრე დავითის ძე ჯავახიშვილი** *— ლეგენდარული ბედის პიროვნება, ვისი ცხოვრება და მოღვაწეობაც მრავალი, მრავალი წლის განმავლობაში იმალებოდა გრიფის — „ზესაიდუმლოს“ ქვეშ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო ძალების პირველი სარდალი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონტრადმირალი, პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი, ვისი მეთაურობითაც ატომურ წყალქვეშა კრეისერმა ზუსტად ორმოცი წლის წინათ (!), შეასრულა დედამიწის გარშემო ცურვა, იყო სწორედ ალექსანდრე ჯავახიშვილი. მას ამ დღეებში შეუსრულდება დაბადების 80 წელი. მისი ცხოვრების აღწერა უფრო ცალკე წიგნის ღირსია და არა საგაზეთო სტატიისა.*

*ალექსანდრე ჯავახიშვილი! პირველად ეს სახელი ოცდაათი წლის წინათ მოსკოვში, ცნობილ წყალქვეშა მეზღვაურთან, საბჭოთა კავშირის გმირთან, ვიცე-ადმირალ გრიგორი შჩედრინთან შეხვედრაზე გავიგონე.*

*ქართველი პირველი რანგის კაპიტნები... იმ დროისთვის ისინი არც ისე ბევრი იყვნენ — სულ 20 კაცი (!). მინდა ჩამოვთვალო ისინი სათითაოდ, ვინაიდან ეს სია სამსახურებრივი სარგებლობისთვის არსად გამომიქვეყნებია, მით უმეტეს, რომ ყველა მათგანი იყო და მსახურობდა იმ დროის საიდუმლო რეჟიმში — ე.ი. მათი სახელები გასაიდუმლოებული იყო:* **რუდოლფ შაქროს ძე ქრისტესაშვილი, გივი ვასილის ძე იმნაძე, გივი ონისიმეს ძე ბარკალაია, ვლადიმერ პართენის ძე იობაშვილი, იური ნიკიფორეს ძე კასრაძე, ლეონიდ დავითის ძე პაპუნაშვილი, ედუარდ გიორგის ძე ცეკვავა, გენადი ვლადიმერის ძე გვაძაბია, ალექსანდრე დავითის ძე ჯავახიშვილი,** *I რანგის კაპიტნები-ინჟინრები:* **როსტისლავ ალექსანდრეს ძე რუხაძე, თამაზ ნიკოლოზის ძე მინაშვილი, ანზორ დავითის ძე გოგითაური, გურამ გრიგოლის ძე კვაჭაძე, იასონ რაჟდენის ძე კავთელაძე, ტარიელ აკაკის ძე ბარამიძე, კონსტანტინე ვასილის ძე გიგაური, შოთა ერმალოზის ძე დანელია, გურამ მიხეილის ძე პირველი, შალვა გრიგოლის ძე კარტოზია და რობერტ ანდრიას ძე ძინძლაძე.**

*იმ წლებში მიმოწერა მქონდა ჩვენს თანამემამულეებთან — გენერალ-ლეიტენანტ რობერტ გერონტის ძე თავაძესთან, რომელიც მაშინ შორეული აღმოსავლეთის მიმართულების ჯარების მთავარსარდლის მოადგილე იყო და გენერალ-მაიორ ვალერიან ბაგრატის ძე გომელაურთან, რომელიც იქვე მსახურობდა, შორეულ აღმოსავლეთში. მათ შესახებ მასალები, რთული სამხედრო ცენზურის გავლის შემდეგ, გამოვაქვეყნე ქართულ გამოცემებში. მათი დახმარებით მალე დავიწყე მიმოწერა გურამ პირველთან — ის იმ წლებში იყო კამჩატკის პეტრე-პავლეს დიდი ატომური წყალქვეშა ნავების რემონტის ზესაიდუმლო ქარხნის უფროსი (მაშინ სსრ კავშირში ასეთი ქარხანა სულ ორი იყო). ალექსანდრე ჯავახიშვილი ამურის ატომური წყალქვეშა ნავების ფლოტილიის სარდლის მოადგილე იყო.*

*ისე მოხდა, რომ, ჩემდა დიდად სასიხარულოდ, ორივე მათგანი — გენერლები რობერტ თავაძე და ვალერიან გომელაური, სხვათა შორის, ორივე რამდენიმე წლის განმავლობაში უკვე იყვნენ ადმირალების თანამდებობებზე, მაგრამ ვერ მიიღეს ეს წოდებები თავიანთი ქართული გვარების გამო (!), გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს დაბრუნდნენ მშობლიურ საქართველოში.*

*ჩემი მეგობრობა მათთან, უკვე ოჯახებით, გრძელდებოდა და მტკიცდებოდა. 1992 წელს კი, როდესაც ფაქტობრივად შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ჩვენ ყველანი აღმოვჩნდით სამინისტროს აპარატის თანამშრომლები. ისინი — ხელმძღვანელ თანამდებობებზე, მე — სამინისტროს პრესსამსახურის უფროსად. ერთად მოგვიწია ყოფნა მაშინდელი საქართველოს ცხელ წერტილებში, სევასტოპოლში — შავი ზღვის სამხედრო ფლოტის გაყოფასთან დაკავშირებით, ცეცხლმოდებულ აფხაზეთში...*

# ოკეანის სტიქიის რაინდი

აი, ერთგვარად გრძელი პრეამბულა ჩვენი ნარკვევის გმირთან ალექსანდრე ჯავახიშვილთან დაკავშირებით. მიზანი ერთი იყო — არავინ დავივიწყოთ, არავის დავუკარგოთ ღვაწლი და ამაგი, არ გამოგვრჩეს ქართველი სამხედრო მეზღვაურების ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, განსაკუთრებით ომისშემდგომი პერიოდიდან, როდესაც ყველა ატომურ წყალქვეშა ნავზე მრავალი წლის განმავლობაში „ტაბუ“ იყო დადებული. ამიტომ ჩამოვთვალე ყველა მათგანი.

... **ალექსანდრე ჯავახიშვილი** დაიბადა 1932 წლის 18 თებერვალს თბილისში, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ რაიონში — ტელმანის ქუჩაზე, № 3-ში, „დინამოს“ სტადიონის პირდაპირ და მაშინ სახელგანთქმული მუშტაიდის ბაღთან, მდინარე მტკვარს რომ გადასცქეროდა. და იმისთვის, რომ უფრო დაწვრილებით ვუამბო მკითხველს სახელგანთქმულ მეზღვაურზე, მივედი მასთან სახლში — თემქის დასახლებაში, სადაც ადმირალი ცხოვრობს ამჟამად.

და აი, ვზივარ პირველ ქართველ ადმირალთან, ვინც იური გაგარინის მსგავსად (რასაკვირველია, მან ზეციდანძ, შემოუარა დედამიწას (მის ზღვის სივრცეებსძ, ვუსმენ მის მშვიდ საუბარს განვლილი გზის შესახებ, ვეცნობი სულ ახალ და ახალ დეტალებს მისი მრავალფეროვანი, გმირული და გასაოცარი ბიოგრაფიიდან.

— ჩემი მშობლები, — გვიამბობს ძირძველი თბილისელი ალექსანდრე ჯავახიშვილი, — „დინამოს“ სტადიონთან ცხოვრობდნენ. ჩვენ, ბიჭები, მთელ თავისუფალ დროს სტადიონზე ვატარებდით, ანდა, თუ კარგი ამინდი იყო, მტკვარში ვბანაობდით. ფეხბურთმა ჩემ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. გასული საუკუნის ორმოციან წლებში „დინამოს“ სტადიონთან ბორის პაიჭაძის წყალობით, შეიქმნა ნორჩების გუნდები, ერთ-ერთ მათგანში შემიყვანეს მეც. 1946 წელს ტყავის ბურთის დიდოსტატის ინიციატივით გაიხსნა სსრ კავშირის პირველი საფეხბურთო № 35 სკოლა, რომელიც ნინოშვილის ქუჩაზე იყო და უმალვე იქცა ოცნებად ყოველი თბილისელი მოსწავლისთვის. თითქმის ყველა გუნდში ვთამაშობდი, ერთი სეზონის განმავლობაში — საქართველოს პირველი ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაშიც კი. სკოლა 1952 წელს დავამთავრე, მქონდა პირველი სპორტული თანრიგი ფეხბურთში. რატომ გიყვები ყოველივე ამის შესახებ: იმ წლების ფეხბურთის სკოლამ მოგვცა ერთგვარი საგზური ცხოვრებაში — სპორტის, დისციპლინის, შრომის სიყვარული და, რაც მთავარია, ჩაგვინერგა ამხანაგური მხარდაჭერის გრძნობა.

ჯერ კიდევ სკოლაში ყოფნის პერიოდში ა.ჯავახიშვილი მეცადინეობდა მოდელიზმის წრეში. თავისი წყალქვეშა ნავის მოდელით, რომელიც კარგად ცურავდა, ყვინთავდა კიდეც, მონაწილეობდა, არცთუ წარუმატებლად, საქართველოს პირველობაშიც. წყალქვეშა ნავებით გატაცებამ მიიყვანა კიდეც თბილისელი ჭაბუკი კასპიის ს.მ.კიროვის სახელობის უმაღლეს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელში, სადაც პირველად შეხვდა მის უფროსს, ლეგენდარულ მეზღვაურს სიმონ სპირიდონის ძე რამიშვილს, ვინც უყვარდა და ვისაც დიდ პატივს სცემდა ყველა საბჭოთა მეზღვაური. ასე შეხვდნენ ერთმანეთს 60 წლის წინათ აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში სასწავლებლის უფროსი და კურსანტი. ერთი — მთელს ქვეყანაში სახელგანთქმული, მეორე — მხოლოდ მეგობრებისთვის ნაცნობი. ერთი — პირველი ქართველი საბჭოთა კონტრადმირალი, რომელმაც ეს წოდება ფაშისტურ გერმანიასთან ომამდე ერთი თვით ადრე მიიღო, მეორე — ვინც ეს წოდება აფხაზეთში ძმათამკვლელი ომიდან სამი წლის შემდეგ მიიღო, გახდა ასევე პირველი ქართველი კონტრადმირალი, თუმცა უკვე თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოში...

— ადმირალმა ს.ს.რამიშვილმა, „რამიმ“ — კურსანტები ასე ვეძახდით, — ამბობს ა.ჯავახიშვილი, — დიდი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. მოხდა ისე, რომ მე საქართველოს ნაკრებთან ერთად გამგზავნეს პიატიგორსკში სსრ კავშირის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის. სასწავლებელში ჩასარიცხი კანდიდატები კი ამ დროს ბაქოში წაიყვანეს გამოცდების ჩასაბარებლად. როდესაც თბილისში ჩამოვედი, გავიგე, რომ ჩემი დოკუმენტები რატომღაც საზღვაო ავიაციაში ჩასარიცხად გადაეგზავნათ. მაშინ ეშმაკობა ვიხმარე. დედა გავაფრთხილე, არავისთვის ეთქვა, თუ სად მივდიოდი, და ჩავედი ბაქოში. როდესაც სასწავლებლის უფროსს მოახსენეს, რომ საქართველოდან ჩამოვიდა „ლტოლვილი“, ს.ს.რამიშვილმა გამომიძახა, მომისმინა და გაიგო, რომ სხვა გზას მე აღარასოდეს ავირჩევდი. მომცეს „ნება“ და დავიწყე ჩემი თანატოლების გამოდევნება, ვისაც უკვე სამი გამოცდა ჰქონდათ ჩაბარებული.



როდესაც ყველა გამოცდა „ფრიადზე“ ჩააბარა, ალექსანდრე ჯავახიშვილი ჩარიცხეს სასწავლებელში, მის უფროსს ს.ს.რამიშვილს კი მოუწია მიეწერა წერილი საქართველოს სამხედრო კომისარიატისთვის და განემარტა ჯიუტი ჭაბუკის „დეზერტირობა“. გარკვეული დროის შემდეგ თავისივე თხოვნით ალექსანდრე ჯავახიშვილი გაგზავნეს მზიური საქართველოდან უკიდურეს ჩრდილოეთის ფლოტში. ასე დაიწყო თბილისელი ალექსანდრე ჯავახიშვილის მკაცრი საფლოტო უნივერსიტეტები, რომლებიც გაიჭიმა ოცდაჩვიდმეტ წელზე და ამ წლების განმავლობაში მან, ხატოვნად რომ ვთქვათ, გადასერ-გადმოსერა მთელი ჩვენი პლანეტა „წინ და უკან“, ჰქონდა 13 წყალქვეშა საოკეანო მსვლელობაც (!ძ.

... 1960 წელს ქარველი საზღვაო ოფიცერი, როგორც მოწინავე, გადაჰყავთ წყალქვეშა ნავზე. იმ წლებში მომდინარეობდა მთელი წყალქვეშა ფლოტის მოდერნიზაცია, ითვისებდნენ ახალ საბრძოლო ტექნიკას. საჭირო იყო კვალიფიკაციის, ცოდნის ამაღლება. ასე აღმოჩნდა ის სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა უმაღლეს სპეციალურ კლასებში, რომელთა უფროსიც იყო მისი სახელგანთქმული თანამემამულე. საქართველოს ისტორიაში პირველი ვიცე-ადმირალი გიორგი სიმონის ძე აბაშვილი. ის ახალი ჩამოსული იყო კუბიდან, სადაც სპეციალური მივლინებით იმყოფებოდა. ამ საბრძოლო ადმირალთან, შესანიშნავ პედაგოგთან და პიროვნებასთან შეხვედრამ ა.დ.ჯავახიშვილზე წარუშლელი კვალი დატოვა. ბატონი ალექსანდრე, უმაღლესი წოდებების, მრავალი ჯილდოს მფლობელი და დიდი ავტორიტეტის მქონე, დღემდე სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს თავის მთავარ დამრიგებელს საზღვაო ცხოვრებაში, ამაყობს, რომ თბილისში დაბრუნების შემდეგ თავისი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ვიცე-ადმირალის გ.ს.აბაშვილის სახელს ატარებს თბილისის ერთ-ერთი ქუჩა...

ზუსტად 45 წლის წინათ, 1967 წლის იანვარში ა.დ.ჯავახიშვილი დაინიშნა ატომური წყალქვეშა ნავის მეთაურად, რომელზეც მან 22 წელი იცურა. მკითხველს რომ უფრო ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს, ვიტყოდი: 60-იან წლებში „ცივი“ ომი ორ ზესახელმწიფოს — სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ზენიტში იყო. არც ერთი შეიარაღება, ჯარების არც ერთი შენაერთი არ იძლეოდა მშვიდობის გარანტიას. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებსაც და სსრ კავშირსაც გაუჩნდა ატომური წყალქვეშა ნავები ატომურივე რაკეტებით, დამყარდა დაახლოებითი პარიტეტი დაპირისპირებულ ქვეყნებს შორის. იმ პერიოდისთვის, როგორც მე ამას ლეგენდარული წყალქვეშელი, საბჭოთა კავშირის გმირი იაროსლავ იოსელიანი, ვინც იმ წლებში სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ შტაბში მუშაობდა, მიყვებოდა, რომ ამერიკელებსაც და რუსებსაც ჰქონდათ 16-16 ატომური წყალქვეშა ნავი. და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდებოდა, რამაც სსრ კავშირის დაშლის პერიოდისთვის 110 ერთეულს მიაღწია. თითოეული მათგანი ხომ საარაკო თანხა ჯდებოდა.

... 1972 წლის 14 იანვარს II რანგის კაპიტნის ა.დ.ჯავახიშვილის მეთაურობით წყალქვეშა ატომურ რაკეტმზიდზე ლიტერით „K-415“ მოხდა ურთულესი ტრანსოკეანური გადასვლა წყნარი ოკეანის ფლოტზე მარშრუტით: ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე — წყნარი ოკეანე, შემოუარეს სამხრეთ ამერიკას დრეიკის სრუტით. გადასვლის დროს ეკიპაჟმა ამერიკის შეერთებული შტატების სანაპიროზე შეასრულა საბრძოლო პატრულირების ამოცანები, და 31 მარტს ამოცურდა ზედაპირზე — ამ წყალქვეშა გადასვლაში წყალქვეშ იყვნენ 77 დღე-ღამის განმავლობაში. წყალქვეშ გაიარეს 40 000 კილომეტრი.

აი, როგორ იხსენებს ამ გადასვლას დედამიწის ოკეანის ქვეშ კონტრადმირალი ა.დ.ჯავახიშვილი:

— კოლოსალური იყო ჩვენი ატომური წყალქვეშა ნავის ზომები. ის არა მხოლოდ დაფარავდა თბილისის „დინამოს“ სტადიონს, არამედ ა.წერეთლის პროსპექტის 140 მეტრსაც. ნავის სიგანე 13 მეტრი იყო, ბორტების სიმაღლე — 12 მეტრი, წყალწყვა — 11000 ტონა და ეს ზეგიგანტი „მახინა“, რომელიც აღჭურვილი იყო 16 რეაქტიული ატომურქუზინებიანი ბალისტიკური რაკეტით, ავითარებდა 26 კვანძის სიჩქარეს საათში, ანუ 47 კილომეტრს საათში. ბორტზე გვქონდა ურთულესი აღჭურვილობა, მივდიოდით 200-300 მეტრის სიღრმეზე, ზესაიდუმლოების ვითარებაში. ნერვული დაძაბულობა უკიდურეს ზღვრამდე იყო. ეკიპაჟი 150 კაცს შეადგენდა, ვიყავით 18 ეროვნების წარმომადგენლები. ფსიქოლოგიური დატვირთვა ზოგჯერ უკიდურეს ზღვარზე იყო. საბრძოლო რეჟიმში შეგვეძლო გაგვენადგურებინა ნებისმიერი ქვეყნის ლამის ნახევარი.

წყალქვეშა ატომურმა კრეისერმა ა.დ.ჯავახიშვილის მეთაურობით ყველა მაჩვენებლითა და პარამეტრით ბრწყინვალედ გაართვა თავი დავალებას. მანამდე ეს ორჯერ შეძლეს ამერიკელებმა და ერთხელ საბჭოს ეკიპაჟმა, თუმცა უფრო მარტივი სქემით. ეს რომ ეროვნებით რუსს გაეკეთებინა, ის გახდებოდა კონტრადმირალი ანდა საბჭოთა კავშირის გმირი. ალექსანდრე ჯავახიშვილი („ჩემი გვარი ამისთვის ძალიან გრძელი იყო“, ხუმრობს ისძ დააჯილდოვეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ვიმპელით „მამაცობისა და სამხედრო გმირობისთვის“.

მაგრამ საოკეანო სტიქიის რაინდის გული და სული თბილისისკენ, სამშობლოსკენ მოისწრაფოდა. იმ წლებში უკიდურესად დაძაბული სამსახურის გამო მან ვერ შეძლო ჩამოსულიყო თავისი მშობლების დაკრძალვაზე (ეს ტკივილი დღემდე ვერ მოუშუშებია მას — ლ.დ.ძ, ვერ შეძლო ჩამოსულიყო თბილისში მაშინაც, როდესაც დაიბადნენ მისი შვილები, რომლებიც ფაქტობრივად უმამოდ იზრდებოდნენ. ალექსანდრე ჯავახიშვილს საქართველო, თბილისი აბოდებდა. სულ უფრო და უფრო ხშირად ესიზმრებოდა ბავშვობა, მშობლები, ახლობლები, თბილისის ქუჩები, სკოლა...

ყოფილი ოკეანეთმპყრობელი თბილისში 1989 წელს ჩამოვიდა. დაშლის პირას იყო საბჭოთა წყობილება. მისი გადაწყვეტილება — ემსახუროს საქართველოს, თავის მშობლიურ ხალხს — ურყევი იყო. ალექსანდრე ჯავახიშვილმა დაუყოვნებლივ დაიწყო ქართული სამხედრო-საზღვაო ძალების შექმნა. ბათუმის საზღვაო სასწავლებლის ბაზაზე დააფუძნა საზღვაო ფაკულტეტი, გამოუშვეს 177 საზღვაო ოფიცერი, რაც საქართველოს მომავალი სამხედრო-საზღვაო ფლოტის საფუძველი გახდა. დამყარდა მჭიდრო კონტაქტები უცხოეთის მეზღვაურებთან, რომლებიც ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ახალგაზრდა ქართული ფლოტის ჩამოყალიბებას.

აფხაზეთის ომის პერიოდში ქართველმა მეზღვაურებმა ალექსანდრე ჯავახიშვილის მეთაურობით უზარმაზარი სამუშაო შეასრულეს. როდესაც სოხუმისკენ სახმელეთო გზა გადაიკეტა, ჩვენს მეზღვაურებს ზღვით მიჰქონდათ საბრძოლო იარაღი, ტყვია-წამალი, პროდუქტები, ცოცხალი ძალა. აფხაზეთიდან ზღვით გამოიყვანეს ორმოცი ათასზე მეტი კაცი. უჭირს ყოველივე ამის გახსენება ჭაღარა ადმირალს. აფხაზეთში ხშირად იკვეთებოდა ჩვენი გზები. ყოველთვის ვრწმუნდებოდი არა მხოლოდ მის მაღალპროფესიულობაში, თანდაყოლილ გმირობაში, არამედ უბრალოდ ადამიანურ გულთბილობაში, ყურადღებასა და სიყვარულში, რაც ზოგჯერ ასეთი დეფიციტურია...

... ერთხელ პირველი რანგის კაპიტან-ინჟინერმა გურამ პირველმა, ვინც მრავალი წელია მეგობრობს ჩემი ნარკვევის გმირთან, ხუმრობით თქვა, გვარს „პირველი“ მე კი არ უნდა ვატარებდე, არამედ ალექსანდრე ჯავახიშვილიო. ის ხომ ყველაფერში იყო პირველი: ატომური წყალქვეშა კრეისერის პირველი ქართველი მეთაური, პირველი ქართველი, ვინც შეასრულა დედამიწის გარშემო მოგზაურობა წყალქვეშ, პირველი ქართველი, რომელიც ფაქტობრივად მეთაურობდა ამურის წყალქვეშა ნავების ფლოტილიას, საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების პირველი სარდალი, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი კონტრადმირალი! და კიდევ მრავალგზის პირველი“!!!

და კიდევ! ალექსანდრე ჯავახიშვილი მოსწრებული იუმორის პატრონია, ეს კი ნიშნავს იმას, რომ მასთან არ გიჭირს, რომ სიცოცხლე მშვენიერია! მტკიცედ იდექი ფეხზე, ადმირალო!

**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

**კალათბურთი**

# აქამდე ასეთი მარადიული არაფერია

**მას შემდეგ, რაც ევროლიგა დაიწყო, ცსკა უმოწყალოდ ანადგურებდა მეტოქეებს როგორც შინ, ისე სტუმრად.**

**სულ არმიელებმა პირველი და მეორე ჯგუფური ეტაპების ზედიზედ 12 შეხვედრა მოიგეს და ერთადერთნი იყვნენ, რომელიც დაუმარცხებლად ასპარეზობდა. მეტიც, მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი თამაშისა, მოსკოველთა ლიტველი თავკაცი იონას კაზლაუსკასი შეგირდთა მიმართ არც კრიტიკულ შენიშვნებს ერიდებოდა და განსაკუთრებულ საყვედურებს დაცვაზე გამოთქვამდა.**



ისე, ბალტიისპირელ სპეციალისტს სადღაც შეიძლება გაუგო კაცმა – საკუთარი გუნდით ბოლომდე კმაყოფილი მწვრთნელი ხომ ბუნებაში არ არსებობს.

ასეა თუ ისე, მოვიდა მეცამეტე მატჩის დრო და როგორც ყველაფერს ამქვეყნიურს, კირილენკოსა და კამპანიის ძლევამოსილ სვლასაც დაესვა წერტილი. და იცით, რომელმა კლუბმა მოახერხა ეს?

არც მეტი, არც ნაკლები, სტამბოლის „გალათასარაიმ“, რომელსაც ერთი კვირის წინათ რუსეთელებმა მშობლიური უნივერსალური სპორტკომპლექსის დარბაზში I წრის ფინიშზე ზესახელმწიფოს გავლენიანი მაღალჩინოსნის სერგეი ივანოვის თანდასწრებით უპრობლემოდ მიაყენეს მორიგი ჩხვლეტა.

ვერ გეტყვით, რამ განაპირობა ჩრდილოელთა ფიასკო – მოტივაციის დეფიციტმა თუ თურქ ქომაგთა ფანატიკურმა გულშემატკივრობამ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ოსმალებმა პლეი-ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნეს.

სამწუხაროდ, იგივეს ვერ გეტყვით ქართველ ლეგიონერთა იტალიურ კლუბ „კანტუზე“, რომელიც თელ-ავივში „მაქაბისთან“ კოშმარული მესამე პერიოდის შედეგად (5:23) გაცამტვერდა. თუ გავითვალისწინებთ გათამაშების დებულებას, ადვილი შესაძლებელია ორივემ თანაბარი მონაგრით დაასრულოს აღნიშნული რაუნდი და ამ შემთხვევაში უპირატესობა ებრაელებს მიენიჭებათ, რომლებსაც პირად ბრძოლებში ბურთების უკეთესი სხვაობა აქვთ (+7).

რაც შეეხებათ „ჯვაროსნებს“, გიორგი შერმადინმა ალთქმულ მიწაზეც „იფრინა“ და, უკვე მერამდენედ, ორმაგი „დუბლი“ გამოაცხო – 15 ქულა, 10 მოხსნა, მანუჩარ მარკოიშვილი კი მხოლოდ 3 ქულას დასჯერდა.

**გიორგი შოთაძე**

**II ჯგუფური რაუნდის IV ტურის სრული შედეგები.**

**„ა“ ჯგუფი.** „გალათასარაი“ – ცსკა 64:60, „ეფეს პილსენი“ – „ოლიმპიაკოსი“ 65:67.

ცსკა – 3, „გალათასარაი“, „ოლიმპიაკოსი“ – 2-2, „ეფეს პილსენი“ – 1 მოგება.

**შემდეგი ტური:** ცსკა – „ოლიმპიაკოსი“, „გალათასარაი“ – „ეფეს პილსენი“ (22 თებერვალი).

**„ბ“ ჯგუფი.** „ბილბაო“ – „რეალი“ 93:69, „მონტეპასკი“ – „უნიკახა“ 84:69.

„მონტეპასკი“ – 4, „ბილბაო“, „რეალი“ – 2-2, „უნიკახა“ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ბილბაო“ – „მონტეპასკი“ (22 თებერვალი), „რეალი“ – „უნიკახა“ (23 თებერვალი).

**„გ“ ჯგუფი.** „მილანი“ – „უნიქსი“ 63:58, „პანათინაიკოსი“ – „ფენერბახჩე“ 72:62.

„უნიქსი“, „პანათინაიკოსი“ – 3-3, „ფენერბახჩე“, „მილანი“ – 1-1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „პანათინაიკოსი“ – „მილანი“, „ფენერბახჩე“ – „უნიქსი“ (23 თებერვალი).

**„დ“ ჯგუფი.** „მაკაბი“ – „კანტუ“ 75:60, „ჟალგირისი“ – „ბარსელონა“ 58:67.

„ბარსელონა“ – 4, „მაკაბი“, „კანტუ“ – 2-2, „ჟალგირისი“ – 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „კანტუ“ – „ბარსელონა“, „მაკაბი“ – „ჟალგირისი“ (23 თებერვალი).

**ჭადრაკი**

# წოდებები მიანიჭეს





**საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრების წევრი ნაზი პაიკიძე, რომელიც კარგა ხანია, მანდილოსნებში დიდოსტატია, წარმატებით თამაშობს ვაჟებშიც, საკმარისი ბალებიც მოაგროვა, ამიტომ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გამართულ ფიდეს პრეზიდენტთა საბჭოს სხდომაზე მას მამაკაცებში საერთაშორისო ოსტატის წოდება მიენიჭა. მსგავსი წოდება დაიმსახურა ვაჟებში საქართველოს 2011 წლის ჩემპიონმა დავით ზარქუამ.**

საბჭოს წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა წლეულს 27 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე სტამბოლში გაიმართება.

**ლაშა დიდია**

## პრეტენდენტთა ტურნირი – ლონდონში

**როგორც ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილიუმჟინოვმა ჟურნალისტებს აცნობა, ჭადრაკში მომდევნო ციკლის პრეტენდენტთა ტურნირი გაიმართება ლონდონში 23 ოქტომბრიდან 13 ნოემბრამდე. ტურნირის ორგანიზატორი იქნება ამერიკული ბიზნესმენის ენდრიუ პოლსონის მიერ ახლად შექმნილი კომპანია „აგონი“, რომელსაც ფიდემ გადასცა მამაკაც მოჭადრაკეთა შორის პირველობის გათამაშების უახლოესი ციკლების ჩატარების ყველა უფლება.**

ორგანიზატორის ნომინანტი პრეტენდენტთა ტურნირზე იქნება აზერბაიჯანელი დიდოსტატი თემურ რაჯაბოვი, მეხუთე ადგილი რომ დაიკავა ფიდეს იანვრის რეიტინგ-ფურცელში. ციკლის პრეტენდენტთა სრული შემადგენლობა კი ასე გამოიყურება: მაგნუს კარლსენი (ნორვეგია), ლევონ არონიანი (სომხეთი), ვლადიმირ კრამნიკი, პეტრე სვიდლერი, ალექსანდრე გრიშჩუკი (სამივე – რუსეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა), თემურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) და ბოლოს, მსოფლიო პირველობის მატჩზე – ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) და ბორის გელფანდი (ისრაელი) – დამარცხებული. ეს მატჩი კი უნდა გაიმართოს 2012 წლის მაისში.

**ძიუდო**

# რეალობა და შანსები



**უკვე გაუწყეთ, რომ ამ შაბათ-კვირას ავსტრია ძიუდოისტთა მსოფლიოს თასს უმასპინძლებს. ფალავნებს სალიცენზიო ქულებიც დაერიცხებათ. იმედია, მონაგარს გაიმდიდრებენ ქართველი მოჭიდავეები, რომლებსაც დღევანდელი რეიტინგით შვიდივე წონაში აქვთ ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის საგზურების მოპოვების შანსი. ჩვენებურთაგან ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს პარიზის დიდი სლემის ბრინჯაოს პრიზიორ ამირან პაპინაშვილს (60 კგ), რომელიც 810 ქულით სალიცენზიო 22-კაციან ზონაში მეხუთე ადგილზეა.** ამავე წონაში ბეთქილ შუკვანს 408 ქულით მე-16 ადგილი უკავია. 746 ქულით ვალერი ლიპარტელიანი (90) ოლიმპიურ რეიტინგში მე-8 საფეხურზეა. 22-კაციან სიაში ორი წარმომადგენელი გვყავს 100 კილოშიც – ლომერ ჟორჟოლიანი (XII) და ირაკლი ცირეკიძე (XIV). მძიმე წონაში ზვიად ხანჯალიაშვილი 360 ქულით მეჩვიდმეტეა, 296 ქულით ადამ ოქრუაშვილი – 23-ე.

თბილისსა და პარიზში მოპოვებული ქულებით ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81) მონაგარი 416 ქულამდე გაზარდა და სალიცენზიო რეიტინგში მე-18 საფეხურზე დამკვიდრდა.

ავსტრიაში პოზიციების განმტკიცება შეუძლიათ შალვა ქარდავას (66) და ლაშა შავდათუაშვილს (73), რომლებსაც მწირი მონაგარიც ხელს აძლევს საგზურების მოსაპოვებლად. მართალია, დღევანდელი მონაცემებით შვიდივე წონაში ლიცენზიების მოპოვების შანსი გვაქვს, მაგრამ წინ კიდევ ოთხი ტურნირია დარჩენილი და ჩვენმა ფალავნებმა იმ შეჯიბრებაში უნდა შეძლონ პოზიციების განმტკიცება.

**ლექსო ცინცაძე**

**მშვილდოსნობა**

# მასპინძლებმა ოქრო არავის დაუთმეს

**ლას ვეგასში გამართულ მშვილდოსანთა ზამთრის მსოფლიოს ჩემპიონატში გუნდური მედლებისთვის ბრძოლაში რვა ნაკრები ჩაება.** საქართველოს ქალთა გუნდი (ასმათ დიასამიძე, ქრისტინე ესებუა, ხათუნა ნარიმანიძე) მეოთხედფინალშივე იტალიელებთან (გუენდალინა სანტორი, ელენა ტონეტა, ნატალია ვალეევა) 223:230 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. **დანარჩენი შეხვედრები:** რუსეთი – მექსიკა 228:218, უკრაინა – იაპონია 224:226, აშშ – თურქეთი 232:224.



**ნახევარფინალი.** იაპონია – რუსეთი 228:226, იტალია – აშშ 225:225 (დამატებითი სროლებით 27:29). **ფინალი.** აშშ – იაპონია 225:220. **III ადგილისთვის.** იტალია – რუსეთი 228:226.

ვაჟთა ჩემპიონატშიც ამერიკელმა მშვილდოსნებმა იყოჩაღეს – გადამწყვეტ პაექრობაში ფრანგებს მოუგეს 238:230. მესამე ადგილი კანადელთა მძლეველ (233:231) ბრიტანელებს ერგოთ.

**გივი გაგუა**

**სანთელი**

## სიმონ მაისურაძე



**85 წლისა გარდაიცვალა ქართულ ჭიდაობაში ქვეყნის 11-გზის ჩემპიონი, 1952 წლის აბსოლუტური ფალავანი, ცნობილი სპორტული მოღვაწე, ქართული ჭიდაობის სახელმძღვანელოს ავტორი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი სიმონ მაისურაძე.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ინტერნეტიდან**

## „რეალი“ – ისევ ყველაზე შემოსავლიანი

**მადრიდის „რეალი“ ისევ სათავეში ჩაუდგა მსოფლიოს ყველაზე შემოსავლიანი კლუბების რეიტინგს Deloitte-ს ვერსიით.**

**სამეფო კლუბმა 2009-2010 წლის სეზონში გამოიმუშავა 479,5 მილიონი ევრო. გასულ სეზონთან შედარებით კლუბის შემოსავალი გაიზარდა 40,9 მილიონით. ამ მაჩვენებლით „რეალი“ უკვე ზედიზედ მეშვიდე წელი ლიდერობს და ყველა შანსი აქვს ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ერთი წლით ადრეული რეკორდის მოხსნისა.**



ახლანდელი რეიტინგით მეორე ადგილზეა „რეალის“ მთავარი მეტოქე – კატალონიის „ბარსელონა“ – 450,7 მილიონი, მესამე ადგილი კი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოიპოვა – 367 მილიონი ევრო. შემდეგ მოდიან „ბავარია“, „არსენალი“, „ჩელსი“, „მილანი“, „ინტერი“, „ლივერპული“ და „შალკე“. ამ უკანასკნელმა გასულ სეზონში 6-საფეხურიანი ნახტომი გააკეთა წინ. მისი შემოსავალი შარშან იყო 202,4 მილიონი.

## პროფესიამ დააახლოვა?!

**გასულ ზაფხულში „მანჩესტერ სიტიში“ რომ გადავიდა, რუმინელი მეკარე კოსტელ პანტილიმონი ალბათ არც ფიქრობდა, რომ გუნდის ჯერ კიდევ უცნობი მეკარის თაყვანისმცემელი გახდებოდა „სიტის“ ყველაზე სექსუალური გულშემატკივარი, შოტლანდიელი მოდელი და ტელეწამყვანი ნატალი პაიკი, ახლა Man Citi TV-ში რომ მუშაობს და ხანდახან ფეხბურთსაც თამაშობს, როგორც... მეკარე. ისინი ალბათ პროფესიამ დააახლოვა.**



პანტილიმონმა აქამდე „სიტიში“ ოთხი მატჩი ითამაშა, საიდანაც ორში ბურთი არ გაუშვა. იანვარში კლუბმა მასთან კონტრაქტი გააფორმა 2016 წლამდე. პაიკმა კი უამრავი სიუჟეტი გააკეთა კლუბსა და მის რუმინელ მეკარეზე.

## ჩვენი კარაბადინი

მხრებში მოხრილი მოხუცი ერთ ხელში ჯოხით და მეორით წელზე...

ამ ცოტა ხნის წინათ სწორედ ასე წარმოვიდგენდით ხოლმე ადამიანს ოსტეოქონდროზით. დღეს მის „პორტრეტში“ ცვლილებების შეტანა მოგვიწევს – დაავადება სულ უფრო და უფრო ხშირად ასნებოვნებს ახალგაზრდებს...

გვესაუბრება მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სერგეი ბოიცოვი.

„გაახალგაზრდავდა“ არა მხოლოდ ოსტეოქონდროზი. ჰიპერტონია, ათეროსკლეროზი, შაქრის დიაბეტი, ართროზი – ყველა ეს დაავადება ორი ათეული წლის წინათ დამახასიათებელი იყო ძირითადად უფროსი ასაკის ადამიანებისთვის, ამჟამად კი სულ უფრო ხშირად უჩნდებათ მათ, ვისაც ახლახან ოცდაათი წელი შეუსრულდა. ადრე გვახსენებს თავს ამ სნეულებათა გართულებებიც. ახალგაზრდების ინსულტი და ინფარქტი, რასაკვირველია, არ არის რიგითი მოვლენები, მაგრამ ექიმების დიდ გაოცებას აღარ იწვევენ.

რატომ „ახალგაზრდავდება“ დაავადებანი? ყველაფრის მიზეზი ცუდი ეკოლოგიაა – აუცილებლად წამოიძახებს ბევრი. და მართლები არ იქნებიან. არახელსაყრელ ეკოლოგიურ ვითარებას შეუძლია გავლენა მოახდინოს ჯანმრთელობაზე, მაგრამ მას არ შეუძლია ბიძგი მისცეს ათეროსკლეროზის ან დიაბეტის განვითარებას. სნეულებათა „გაახალგაზრდავების“ მიზეზი სხვა რამეა.

### გადაჭარბებულად მსუქნები

**ადრეულ დიაბეტთან უწინარეს ყოვლისა სიმსუქნეს მივყავართ. იგი, სხვათა შორის, თავადაც „ახალგაზრდაა“. ადრე ზედმეტი წონა მამაკაცებს უჩნდებოდათ 35 წლის შემდეგ. ქალებს, რომლებიც უფრო ყურადღებიანი არიან თავიანთი ფიგურებისადმი, მშობიარობის შემდეგ, ანდა მენოპაუზის ფონზე. ახლა „ლუდის“ ღიპები და ქონიანი ნაკეცები ზურგზე ხშირად შეინიშნება მოზარდებშიც.**

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ჩვენ აშკარად უფრო ცოტას ვმოძრაობთ. ლიფტებმა, ავტომობილებმა, საყოფაცხოვრებო ტექნიკამ მნიშვნელოვნად შეგვიმსუბუქა ყოფა. კომპიუტერების გამოჩენამ კი საშუალება მოგვცა არა მხოლოდ შევასრულოთ სამუშაო, არამედ გავერთოთ კიდეც, თითქმის ფეხზე წამოუდგომლად. შეიცვალა კვებაც. მაღაზიებში რამდენჯერმე გაიზარდა პროდუქტების ასორტიმენტი, თანაც საკვებში გაჩნდა გემოს გამაძლიერებლები, მათში მეტია ცხიმი და ადვილად ასათვისებელი ნახშირწყლები. შედეგი – დიდებიც და პატარებიც ღებულობენ უფრო მეტ საჭმელს, ვიდრე საჭიროა.

განსაკუთრებული მუხლია – თანამედროვე მოზარდებისა და ახალგაზრდობის საერთო გატაცება ტკბილი გაზიანი სასმელებითა და ჩიფსებით. ისინიც საკვებ პროდუქტებს განეკუთვნებიან, თუმცა ძნელად რომ მათ უწოდო საკვები. კარტოფილის „ხრაშუნებსა“ და ტკბილ შუშხუნა წყლებს შიმშილის მოსაკლავად როდი იყენებენ. ეს არის დროსტარების ატრიბუტები: შეიძლება „ახრამუნო“ კინოს ყურების დროს, გაკვეთილებზე, მეგობრების კომპანიაში. საუბედუროდ, ჩიფსებისა და სასმელების კალორიულობა ამით როდი მცირდება, და ადამიანი თავისთვის შეუმჩნევლად აგროვებს კილოგრამებს.

ჩვენში ზედმეტი წონა მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტს აქვს. ნორმაზე მეტს იწონიან ბავშვების 8,5 პროცენტი ქალაქებში. სოფელ ადგილებში ნორჩი „ფუნთუშები“ უფრო ნაკლებია – 5,5 პროცენტი, მაგრამ ესეც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. თუ ბავშვი მსუქანია, 30 წლისთვის ის, სავარაუდოდ, იქნება კლინიკურად გამოხატული, დიაგნოსტირებულად დაავადებული.

### სახიფათო მექანიზმი

**ცხიმს, თუ ის განსაკუთრებულად გროვდება არა კანქვეშ, არამედ მუცლის ღრუს შიგნით, აქვს ჰორმონალური აქტიურობა. ის გამოყოფს ნივთიერებებს, რომლებიც ზრდიან არტერიულ წნევას, – აქედანაა ადრეული ჰიპერტონიაც. ეს წარმოქმნილი ცხიმოვანი ქსოვილები აჩქარებს სისხლძარღვების დაზიანებას, ხდის მათ უფრო მაგარს და ხელსაყრელს ქოლესტერინის დაგროვებისთვის – და ადამიანს უკვე უსვამენ დიაგნოზს „ათეროსკლეროზი“.**

ზურგის კუნთები ცხოვრების ნაკლებად მოძრავი წესის გამო სუსტდება, ზედმეტი წონა კი ძლიერ ზრდის დატვირთვას ხერხემალზე (ზედმეტი კილოგრამები – ეს ხომ მძიმე ჩანთის ტარებას ნიშნავს,ძ – და ახალგაზრდებს უჩნდებათ ოსტეოქონდროზი.

რაც მეტია სხეულში ცხიმოვანი უჯრედები და რაც უფრო დიდია ისინი, მით ნაკლებად მგრძნობიარეა ორგანიზმი გლუკოზისადმი. ამის გამო თანდათან ვითარდება დიაბეტი. ამ შემთხვევაში ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიისა და სიმსუქნის გვერდით შეიძლება დავსვათ გამრავლების ნიშანი: „შაქრის“ დაავადება რამდენჯერმე ზრდის მათი განვითარების ტემპებს.

ამ დროს არ უნდა დავივიწყოთ რისკის კიდევ ერთი ფაქტორი – მოწევა. აქაც „გაახალგაზრდავებასთან“ გვაქვს საქმე. ადრე მამაკაცები მოწევას 16-17 წლის ასაკში ან უფრო გვიან იწყებდნენ, ქალიშვილები – 20 წლის ან უფრო გვიან. ამჟამად კი 12 წლის მოზარდი, ვისაც ერთხელაც არ „დაურტყამს ნაფაზი“ – სასიამოვნო იშვიათი გამონაკლისია. ნიკოტინს ეჩვევიან არა უფროს, არამედ შუა კლასებში. ამ დროს მოწევას მივყავართ ჰიპერტონიასა და ათეროსკლეროზთან და მნიშვნელოვნად აუარესებს ათეროსკლეროზის მიმდინარეობას.

# რატომ გაახალგაზრდავდა ინსულტი?



ამიტომ არ ღირს ბრალი დავდოთ ეკოლოგიას, დაავადებათა „გაახალგაზრდავების“ მიზეზი – ადამიანთა ქცევაშია. გადავწიოთ იქით, ანდა სულაც თავიდან ავიცილოთ სნეულებათა გაჩენა – მთლიანად ჩვენს ხელთაა.

### მიაქციეთ ყურადღება კვებას!

**თავდაპირველად უნდა გავითვითცნობიეროთ, რომ საკვების მიღება უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზმის მოთხოვნებს. არა ჩვევებს, არა სურვილს – მუდმივად ვიტკბარუნებთ პირს, არამედ სწორედ მოთხოვნებს. ჯერჯერობით კი ყველაფერი საპირისპიროდ გვაქვს. 17-18 წლის ახალგაზრდა მიირთმევს ერთ უზარმაზარ თეფშ საჭმელს და არ სუქდება. მას ნივთიერებათა აქტიური ცვლა აქვს, ენერგიასაც ბევრს ხარჯავს: ხან მეგობრებმა დისკოთეკაზე დაუძახეს, ხან გოგონასთან პარკში გაისეირნა. 25 წლისთვის ცვლის პროცესების სიჩქარე იწყებს დაქვეითებას, „ტუსოვკებსა“ და გასეირნებებს ცვლის საოფისე სამუშაო. მაგრამ უზარმაზარი პორციების მიღებას ადამიანი არ წყვეტს, ათლეტიკური აგებულების ჭაბუკი გათქვირებულ ღიპიან ბიძად იქცევა.**

ამის თავიდან აცილება არ არის ძნელი: ფიზიკური აქტივობის შემცირების დროს უნდა შევამციროთ საჭმლის ოდენობაც. ოფისში მომუშავე მამაკაცმა სასურველია საშუალოდ მოიხმაროს არაუმეტეს 2500 კილოკალორიისა, ქალი უმჯობესია შემოიფარგლოს 2000 კილოკალორიით.

საკვებთან დაკავშირებული სწორი ქცევის ჩამოყალიბება სასურველია ბავშვობაში. პრაქტიკა გვიჩვენებს: თუ მშობლებს სახლში არ მოაქვთ გაზიანი სასმელები და ჩიფსები, არ აძლევენ მათ ბავშვებს, მოზარდების ასაკამდე ისინი ამას არც ითხოვენ. ასეთი სასმელებისა და საჭმლისადმი მიდრეკილება მათ შეიძლება გაუჩნდეთ საშუალო სკოლის დამთავრებისთვის – თანაკლასელებთან ერთად სადღაც ქუჩაში. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მშობლებზეა დამოკიდებული, გახდება თუ არა ბავშვი არაჯანსაღი საკვების მიმღები თუ გასინჯავს მას ხანდახან, ხოლო როდესაც გაიზრდება უარს იტყვის მასზე. ეცადეთ აუხსნათ ბავშვს, რომ ეს მავნებელია. გააკეთეთ ეს რბილად, მკაცრი აკრძალვების გარეშე, თუმცა დაბეჯითებით და რწმენით.

და კიდევ – ნუ მისცემთ მას ცუდ მაგალითს. ბევრ მშობელს – დედას და მამას ერთად ბავშვები მიჰყავს ფასტფუდში. ეს მტკიცედ ხდის ოჯახს, მაგრამ ბავშვი ასეთი „კულტლაშქრობის“ გამო მალე ხდება დამოკიდებული მავნე საჭმელზე. ფასტფუდისადმი სიყვარული კი – სიმსუქნის თითქმის 100-პროცენტიანი გარანტიაა. ასე რომ, შეარჩიეთ რესტორნები ჩვეულებრივი, „არასწრაფი“ საჭმელით. და კიდევ უკეთესი – იარეთ პარკებში. ოჯახურ სულისკვეთებას ესეც ამყარებს, ცხიმს კი ორგანიზმში არ მოუმატებს.

### შორს – ავადმყოფობისგან

**ციგურებით, თხილამურებით სრიალი ზამთარში, გორგოლაჭებზე – ზაფხულში, აგრეთვე ველოსიპედით სეირნობა შესანიშნავი დროსტარებაა, თუ სახლში ბავშვები გყავთ. ეს თუნდაც ოდნავ მაინც გამოთიშავს სკოლის მოსწავლეებს კომპიუტერისგან, აიძულებს მათ იმოძრაონ. ამავე მიზეზით ბავშვები უნდა მივიყვანოთ სპორტულ სექციებში. მაგრამ გაითვალისწინეთ – სპორტის სახეობა უნდა მოსწონდეს ბავშვს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სპორტისადმი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ზიზღი გაუჩნდეს.**

მოზრდილებისთვის ფიზიკური დატვირთვა – ჯანმრთელობის შენარჩუნების მთავარი პირობაა. ამ დროს არ არის აუცილებელი იყიდო აბონემენტი ძვირადღირებულ ფიტნეს-კლუბში. სავსებით საკმარისია ჩვეულებრივი სიარული 30-40 წუთის განმავლობაში, შესაძლებლობის შესაბამისად ოდნავ აჩქარებული ტემპით, ეს კვირაში სულ ცოტა ხუთჯერ მაინც უნდა გააკეთოთ.

ეს დაგვეხმარება გადავწყვიტოთ სულ ცოტა ორი პრობლემა მაინც. ჯერ ერთი, სიარული გვეხმარება დავხარჯოთ კალორიები. მეორეც, ის საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ან დროებით გადავწიოთ ჰიპერტონიის განვითარება. თუ ადამიანი ცოტას მოძრაობს, სისხლის დიდი ნაწილი ცირკულაციას ახდენს მუცლის ღრუში, შინაგან ორგანოებში. როდესაც სიარულს ვიწყებთ, სისხლის 80 პროცენტამდე მიისწრაფვის კუნთებისკენ. ამის წყალობით უმალვე ქვეითდება სისტემური წნევა. თანაც სისხლძარღვები ვარჯიშობენ, იძენენ ტონუსს და არ კარგავენ ელასტიურობას.

აქტიურობის მეორე ვარიანტი, რაც შესანიშნავად აჯანსაღებს ორგანიზმს – ეს არის სკანდინავიური სიარული. ჩვეულებრივისგან ის განსხვავდება იმით, რომ ადამიანს მოძრაობის დროს ხელში უჭირავს სათხილამურო ჯოხები. ამის წყალობით სხეულის ზედა ნაწილი ფეხებზე არანაკლებად მუშაობს. სკანდინავიური „სეირნობები“ წვავს დაახლოებით 1,5-ჯერ მეტ კალორიას, ვიდრე ჩვეულებრივები და შესანიშნავად ავარჯიშებენ გულსისხლძარღვთა სისტემას. ასე რომ, თუ ადამიანი შეიყვარებს მათ და ამასთან თავს დაანებებს მოწევას, ადრეული ჰიპერტონია და ათეროსკლეროზი ძნელად რომ შეაწუხებენ მას.

ЗДОРОВЬЕ

## „თანადგომის“ ფურცლებზე

# სიცოცხლე გრძელდება...


თანადგომა
ღმერთმა ჰქმნას ... გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელნი და მკითხველნი.
სიკვდილის გზა არრა არის გარდისვლა ...
11 თებერვალი, 2012 წ. საზოგადოებრივი საინფორმაციო გაზეთი * გამოდის 2001 წლიდან საიუბილეო გამოშვება
გურამ გაბუნია
სამაგალითო პიროვნება, ლიდერი და მეგობარი

**ამჯერად ქვეყნისთვის დამაშვრალი პიროვნების ოჯახს, ახლობლებს, სამეგობროს გადაყოლილი კაცის გურამ გაბუნიას გარდაცვალების მეორმოცე დღეს ეხმიანება გაზეთი „თანადგომა“ (რედაქტორ-გამომცემელი ანზორ ბაბუხადიაძ, რომლის ფურცლებზეც ბატონ გურამს იგონებენ უახლოესი მეგობრები და ახლობლები – ნელი გურგენიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ნიკოლოზ ნეფედოვი, გიორგი გამცემლიძე, გივი კვიჭიძე, ჯიმი მიქელაძე, ლია ლომიძე, გურამ აბაშიძე, ირაკლი ჟორდანია, ბორის სარალიძე, ზაურ მესხიშვილი, გივი ანჩაბაძე, ჯემალ კუხალაშვილი. აქვე იბეჭდება უამრავი შთამბეჭდავი ფოტომასალა, რომლებზეც ცოცხლდება ბატონი გურამ გაბუნია – მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან ერთად...**

**სიცოცხლე გრძელდება.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი აღმოსავლეთმცოდნე-არაბისტი, აკად. გიორგი წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი**

**ცისია კახიანი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

## პერსონა

# ჩელსიში, მეუღლის გვერდით

**მე-20 საუკუნის ერთ-ერთმა გამორჩეულმა პოლიტიკოსმა ქალბატონმა, დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, წინდახედულმა ბარონესა მარგარეტ ტეტჩერმა... საკუთარი დაკრძალვის გეგმა შეადგინა.**



ბოლო წლებში 86 წლის რკინის ლედიმ რამდენიმე მიკროინსულტი გადაიტანა, რის გამო საზოგადოებაში გამოჩენას ერიდება და, როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა, რომ იგი თავის ბოლო გზის სცენარზე დაფიქრდა.

შორეულ 1965 წელს, როცა ბრიტანეთი სხვა დიდ პრემიერს უინსტონ ჩერჩილს ემშვიდობებოდა, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა თქვა: „იმ ღამეს ლონდონში ორი მდინარე მოედინებოდა, მათ შორის ერთ-ერთი ხალხისა იყო“. მაგრამ, ბარონესა ტეტჩერს ასეთი პომპეზურობა არ უნდა, მას არც ხალხის გაუთავებელი ნაკადები, არც ფოლკლენდის ომში მისი გამარჯვების აღსანიშნავად სამხედრო ვერტმფრენთა აღლუმის მოწყობა არ სურს.

მისი თხოვნაა დახურული სასახლის ვესტმინსტერ-ჰოლში დასვენება, რათა ამ დიდებულ დარბაზში მასთან დამშვიდობება პარლამენტის დეპუტატებმა და რჩეულმა პირებმა შეძლონ. კერძოდ, დაკრძალვაზე ელიან დედოფალ ელისაბედ II, ასევე მთელ რიგ სხვა გვირგვინოსანსა და მსოფლიო ლიდერს, მათ შორის საბჭოთა კავშირის ექსპრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვსა და ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ქვრივს ნენსი რეიგანს.

მარგარეტ ტეტჩერს პანაშვიდს წმინდა პავლეს საკათედრო ტაძარში გადაუხდიან ინგლისელი კომპოზიტორის ედვარდ ელგარის მუსიკის თანხლებით. სამუდამო სასუფევლის ადგილად კი ქალბატონმა ტეტჩერმა ჩელსიში სამეფო საავადმყოფოს სასაფლაო აირჩია, სადაც 2003 წელს მისი გარდაცვლილი მეუღლე დენისია დაკრძალული.

**ირმა ირემაშვილი**

## ხუმარსიტყვა

### სათხოვარი

**ს ა ა კ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი გრძელდებაო თოვა.
ჰოდა, მაღლა ცაში გავაგზავნე თხოვნა:
დაე, გათოვდეს, თანაც ისე მაგრად გათოვდეს,
რომ პარლამენტი ქუთაისში ველარ „გათხოვდეს“!..**

**რამაზ ილმელი**

## კროსვორდი



**თარაზულად**. 6. პურის გარეთა, სქელი მხარე. 9. ის, ვისაც „რკინის გული და ხის აბჯარი" უნდა ჰქონდეს. 10. საქართველოს ერთ-ერთი მთიანი მხარე. 11. კაცის თავსაბურავი, რომელსაც ზოგჯერ ნამუსისასაც ეძახიან. 12. მეხის დაცემისგან დამცველი მოწყობილობა. 15. ფირნიში. 18. მართებული დარი (საბაძ. 20. სხვისი ბავშვების გამზრდელი ქალი. 23. მეფის მრჩეველი. 25. საერო, არასასულიერო წოდების პირი ძველად. 26. საქონლის დასაკლავი ადგილი. 28. სურნელოვანი ზეთი, ნელსაცხებელი. 30. რაც მოითხოვა მაია წყნეთელმა აბანოში. 33. მუნიციპალური ცენტრი ზემო სვანეთში. 37. არსება, რომელიც ღმერთმა ნეკნისგან შექმნა. 38. ერთადერთი შვილი. 40. ანტონიმი სიტყვისა „შორი". 43. ქართველთა ძველი ისტორიული სახელწოდება. 44. ბავშვთა ერთ-ერთ თამაშში „არჩევანი მე"-ს საპასუხო წამოძახილი. 45. მეფის სასახლე ძველად.

**შვეულად**. 1. ... და ნაღარა. 2. ხანჯლის შვილი — პატარა დანა, ხანჯლის ქარქაშის მხარეს ჩადებული. 3. ის, რასაც ხერხი სჯობია (ანდაზაძ. 4. ქალის თავსაბურავი. 5. ბერძნული „ფანტაზიის" ქართული შესატყვისი. 7. კუთრი ანუ ... წონა. 8. ათეულობით თვლაზე დამყარებული სისტემა. 13. უბრალო, მარტივი. 14. გეჯა ანუ ... 16. ჯადოქარი. 17. დედამიწის სიღრმე, სადაც ბნელი ძალებია. 19. ძაღლის ნათესავი მტაცებელი ცხოველი. 20. სადაც არა სჯობს, რა სჯობს? (ანდაზაძ. 21. დედმამიშვილი ქალი. 22. რამდენი ცოდვა ქნა დამკარგავმა, ქურდთან შედარებით (ანდ.ძ? 24. წრეხაზის ფორმის ლითონის, ხის საგანი. 27. „ჯავშნოსანი" ქვეწარმავალი. 29. ობიექტურად არსებული მოვლენა, სინამდვილე. 31. ამურის სამიზნე. 32. მდინარის, ზღვის ქვიანი ნაპირი. 34. ჩაქაფულის შესაკმაზი მწვანილი. 35. დაბადების დღე. 36. სამგზავრო წყლის პატარა ჭურჭელი. 39. მეხრის „იარაღი". 41. გადამდნარი კარაქი. 42. იგივეა, რაც „როდესაც" (ძვ. და წიგნ.ძ.

### 4 თებერვალს გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად**. 3. კოლუმბი. 5. სტალონე. 10. ქიმია. 11. დონკიხოტი. 12. ტესტი. 13. არაგვი. 15. ინდოეთი. 17. მასონი. 19. აბანო. 20. გრემი. 26. კომეტა. 27. კოშმარი. 29. იაკობი. 30. აკვანი. 31. მამონტი. 32. მესერი. 33. ფირმანი. 34. ატამანი.

**შვეულად**. 1. დოპინგი. 2. ინდექსი. 4. ბროლი. 6. ტიტრი. 7. გიორგი. 8. მირონი. 9. შტანგა. 14. იკებანა. 16. თარგი. 17. მაიმუნი. 18. ბორდო. 21. ტროცკი. 22. კრემაცია. 23. მოკასინი. 24. კაბარე. 25. იმპორტი. 27. კიმონო. 28. იდიოტი.

## სულიერება

# წმინდა მღვდელმთავარნი — ბასილი დიდი, გრიგოლი ღვთისმეტყველი და იოანე ოქროპირი



12 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სამ დიდ მამას, სარწმუნოების ბურჯებს — წმინდა ბასილი დიდს, გრიგოლ ღვთისმეტყველს და იოანე ოქროპირს.

...ცნობილია, რომ, თავიდან მათი ხსენება სხვადასხვა დღეს იყო დაწესებული; იმხანად კონსტანტინოპოლში ცხარედ კამათობდნენ იმაზე, თუ ვისთვის მიენიჭებინათ უპირატესობა ამ სამი მღვდელმთავარნიდან, ერთნი — ბასილი დიდს მიიჩნევდნენ უპირატესად, მეორენი — გრიგოლ ღვთისმეტყველს, სხვები კი — იოანე ოქროპირს. ამ მიზეზით ქრისტიანებს შორის განხეთქილება ჩამოვარდა... ვითარება მეტისმეტად დაიძაბა, მაგრამ ღვთის ნებით სამივე მღვდელმთავარი ერთად ეჩვენა მიტროპოლიტ იოანეს და განუცხადა: ჩვენ თანასწორი ვართ უფლის წინაშე, შეწყვიტეთ დავა, ერთ დღეს დააწესეთო ჩვენი ხსენება.

გიული ლიპარტია

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 599 32-85-76.

განცხადება

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).
ფასი შეთანხმებით.
ტ. 593 537-988, 551 480-096.

## კადრი



## დაიჯესტი

### არაბავშვური ჯილდოები

**მუსლიმთა წმიდა წიგნის ყურანის ჩინებულ ცოდნაში სომალიში ბავშვებს... ავტომატები და ხელყუმბარები დაურიგეს.**



რას აღარ აკეთებენ სხვადასხვა ტელეარხისა და რადიოსადგურის მარკეტოლოგები მსმენელთა და მაყურებელთა მისაზიდად. ერთ-ერთი აპრობირებული ხერხია კონკურსებისა და ვიქტორინების მოწყობა, რომლებში მონაწილეობის მსურველი ყოველთვის მრავლადაა, მიუხედავად იმისა, რომ პრიზები, უმეტესად, იაფია, სამაგიეროდ გამოსადეგი ნივთებია — ფენები, ჩაიდნები, მიქსერები და მათი მსგავსი რაღაცები.

თუმცა ასეა წარმატებულ ქვეყნებში. იქ კი, სადაც პერმანენტულად ომი მიმდინარეობს, პრიზების ასორტიმენტიც განსხვავებულია. მაგალითად, ისლამისტური დაჯგუფების „ალ-შაბაბის" მიერ დაფუძნებულმა რადიოსადგურმა ბავშვებისთვის ყურანის კითხვასა და ისლამის ზოგად ცოდნაში კონკურსი გამოაცხადა. ჰოდა, პრიზებიც იქ იყო თუ იყო! გამარჯვებულმა ჯილდოდ ავტომატი და 700 დოლარი მიიღო, მეორე ადგილზე გასულს ასევე კალაშნიკოვის ავტომატი და 500 „მწვანე" შეხვდა, მესამე ადგილის მფლობელს კი წყვილი ხელყუმბარა ერგო.

თუმცა გასაკვირი ამაში არაფერია. დაჯგუფება „ალ-შაბაბი", რომელიც სომალის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში უზარმაზარ ტერიტორიებს აკონტროლებს, მჭიდროდაა დაკავშირებული „ალ-ქაიდასთან". ასეთი საჩუქრების დარიგებით, როგორც ჩანს, მისი ლიდერები „ღირსეული ცვლის" აღზრდას ფიქრობენ. მათი ლოგიკით, რა საჭიროა რაღაც ჭურჭელი ან ხელსაწყო, როცა ავტომატიან კაცს ყველაფრის მითვისება შეუძლია, რაც კი მოესურვება?

### რაღა დროს სიყვარულია!..

**ამერიკელმა ფსიქოლოგებმა იმის გარკვევა გადაწყვიტეს, თუ რა ახდენს ყველაზე დიდ ზეგავლენას ადამიანზე, ადრენალინის შემცველობას მატებს მას სისხლში.**

გამოკვლევით, რომელშიც კალიფორნიის შტატის სტენფორდის უნივერსიტეტის 250 სტუდენტი და პედაგოგი მონაწილეობდა, დადგინდა, რომ ადამიანზე ზემოქმედების მხრივ ყველაზე ძლიერი ფაქტორია მუსიკა. ემოციების სიძლიერით მეორე ადგილზე აღმოჩნდა თეატრალური წარმოდგენების, კინოფილმებისა და წიგნების გულისამაჩუყებელი სცენები, ხოლო მესამე ადგილზე — ბუნების სილამაზე და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სიყვარულმა ამ სიაში მხოლოდ მეექვსე ადგილი დაიკავა...

## ანეკდოტები

დღევანდელი ხელისუფლების შემყურეს როგორ გინდება ხოლმე, რომ ჯოჯოხეთი არსებობდეს.

* * *

— შენც სულელი ხარ და ხუმრობაც სულელური იცი! — ეუბნება გოგო ბიჭს.

— გამომყევი ცოლად!

— ოი, მაპატიე, ღვთის გულისთვის! სერიოზულად მეუბნები?

— ვხუმრობ, ვხუმრობ!



— მოშე, რად არ მიდიხარ ისრაელში?

— იმიტომ, რომ იქ ძალიან შეუმჩნეველი პიროვნება ვიქნები.

— რატომ?

— იქ ხომ ყველა ებრაელია.

* * *

— რად ხარ ასე დაჭმუჭნული?

— რა ვიცი, გადამთვრალი მანქანაში ჩავჯექი და დავქოქე... თურმე სარეცხის მანქანა ყოფილა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24